სპორტი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 16 აგვისტო 2006 №188 (2810) ფასი 50 თეთრი

დღეს ქართული ფეხბურთი დიდ-პატარიანად გამოიცდება

კაცი ფიქრის ზღვაში

კლაუს ტოპმიოლერი: პოზიტიური შედეგი მხოლოდ მოგება იქნება

ფარერებზე ისეთი სუსხია, დილით საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა ჩათბილული ქურთუკები ჩაიცვეს და სასტუმრო „ფოროიარიდან“ სასეირნოდ გავიდნენ, თუმც სეირნობა წვიმის გამო ხანმოკლე გამოდგა. დღის მეორე ნახევარში წვიმამ გადაიღო, საღამოს ექვსი საათისთვის გუნდმა ვახშამი მოითავა და ავტობუსში ჩავდა — კლაუს ტოპმიოლერმა ფეხბურთელები კუნძულიდან კუნძულზე არასაწყლოსნო გზით გადასხა — იმ კუნძულებზე, სადაც ფარერების დედაქალაქი ტორსჰავნი და სოფელი ტოფტირია, ხიდია გადებული. ჰერ ტოპმიოლერმა არ გარისკა, საზღვაო რყევა გულისრევას იწვევს და ტოფტირში შემოვლითი გზით წასვლა არჩია — ტორსჰავნიდან ტოფტირამდე ნაკრების ავტობუსმა საათი და ოცი წუთი იარა, ხოლო გუნდი წვრთნას თბილისის დროით თერთმეტის ნახევრისთვის მორჩა.

გუშინ ნაკრები სრულად შეიკრიბა. გუნდთან ერთადაა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაციც. შეკრებიდან წასვლა მოუწია ზურაბ ხიზანიშვილს — საზარდულმტკივანი ბლექბერნელი ნაკრების ექიმებმაც გასინჯეს და დატვირთვებისგან თავის შეკავება ურჩიეს.

მაგრამ ხიზანიშვილი ინგლისში არ დაბრუნებულა — ზურას თბილისში ქალიშვილი შეეძინა და დღეს თავის ასულთან იქნება საქართველოს დედაქალაქში.

გუშინწინდელ ვარჯიშზე მოედანზე არ გასულან დავით მუჯირი, მალხაზ ასათიანი და ზურაბ მენთეშაშვილი — მათ რუსულ პრემიერლიგაში ითამაშეს 13 აგვისტოს და ტოპმიოლერმაც აღარ გადატვირთა.

ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელი ჯანზეა, მხოლოდ გოგა გახოკიძეს და ლევან ცქიტიშვილს აწუხებთ ტრავმები და დღეს მათ თამაშს კითხვის ნიშანი უწერია.

მიულოცეთ გოგო მოგებით!

უხიზანიშვილო საქართველოს ნაკრებს ტოფტირზე სხვა გზა აღარ დარჩა

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

მეტოქე შუაშია ჭკვიანი

ტოფტირი. 16 აგვისტო. 22 საათი. ტოფტირი

ფარერები — საქართველო

მსაჯები: მ. როსი, დ. როდფერნი, ჯ. მაკდაუელი; დ. მალკოლმი (ჩრდ. ირლანდია); უეფას დელეგატი: ლ. ბიორკი (შვედეთი)

ფარერის კუნძულების ნაკრები

	თ/გ	ნაკრებში	დაბ. თარიღი	გუნდი
მეკარეები				
იაკუპ მიკელსენი	42/-81	1995	14.08.70	B36 ტორსჰავნი
მაინჰარდტ იონსენი	0/0	2006	27.11.79	კლასვიკი
მცველები				
ოლი იოჰანესენი	77/1	1992	06.05.72	TB
ვაგნურ მორტენსენი	1/0	2004	10.02.83	HB ტორსჰავნი
ატლი დანიელსენი	13/0	2003	15.08.83	კლასვიკი
იანუს იონსენი	1/0	2006	27.05.81	HB ტორსჰავნი
ნახევარმცველები				
სიმუნ სამუელსენი	3/1	2003	21.05.85	კეფლავიკი, ისლანდია
ჰანუს ტორლეიფსონი	0/0	2006	19.12.85	B36 ტორსჰავნი
ფროდი ბენიამინსენი	36/2	1999	14.12.77	B36 ტორსჰავნი
იაკუპ ბორგი	43/2	1998	26.10.79	HB ტორსჰავნი
კარი ნილსენი	2/0	2004	03.03.81	HB ტორსჰავნი
როგვი იაკობსენი	36/6	1999	05.03.79	HB ტორსჰავნი
პოლი ჰანსენი	1/0	2004	09.04.80	სკალა
ბარდურ ოლსენი	1/0	2006	05.12.85	სტრეიმური
კლაუს იორგენსენი	9/1	2004	27.04.76	ქოვენთრი, ინგლისი
თავდამსხმელები				
იონჰარდ ფრედერიკსბერგი	9/0	2003	27.08.80	სკალა
ჰანს პოლი სამუელსენი	1/0	2006	18.10.84	სტრეიმური
კრისტიან იაკობსენი	27/2	2001	12.05.80	რუნავიკი

16 აგვისტოს საღამოს 9 საათიდან გადაიკეტება რესპუბლიკის მოედანი, სადაც გულშემატკივარს საშუალება ექნება, დიდ ეკრანზე ნახოს ფარერებ — საქართველოს მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი. გულშემატკივრებს გამაგრილებელი სასმელებით კომპანია „ყაზბეგი“ და „პეპსი“ მოემსახურებიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ჩვენ უკეთესი ფეხბურთელები გვყავს

წინასწარი შეთანხმებით, კლაუს ტოპმიოლერს გუშინ დავურეკეთ ტორსჰავნში და პირველი, რაც მან გვითხრა, ეს იყო...

— დღეს დილით ფეხბურთელებთან ერთად სასეირნოდ ვიყავით, აქ წვიმს და შესაბამისადაც გვეცვა.

— ამ დროისთვის ნაკრების ყველა ფეხბურთელი თქვენ განკარგულებაშია?

— მალე შემოგვიერთდებიან სალუქვაძე და დემეტრაძე, ისინი ნაშუადღევს უკვე ჩვენთან იქნებიან.

— იმედი გაქვთ, რომ ხიზანიშვილი ფარერებთან თამაშს შეძლებს?

— ხიზანიშვილის თამაში ძალიან სასიხარულო იქნებოდა.

— ყველაფერი დღევანდელი ვარჯიშის შემდეგ გადაწყდება?

— ვნახოთ, ხიზანიშვილს ერთი კვირაა, ტრავმის გამო არ უვარჯიშია...

— წვიმიანი ამინდი ხომ არ გაშფოთებთ?

— ალბათ, ხვალაც ასეთი ამინდი იქნება, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

— დღეს ტოფტირში მიდიხართ სავარჯიშოდ...

— საღამოს შვიდ საათზე ვიწყებთ ვარჯიშს. წვრთნა დაახლოებით ერთ საათს გასტანს.

— ტოფტირში წასვლა-წამოსვლა დღეს, ხვალაც უნდა იმგზავროთ ტორსჰავნიდან ტოფტირში — ეს ცუდად არ იმოქმედებს ფეხბურთელებზე?

— ხვალ, ანუ მატჩის დღეს, ტოფტირში დილით ჩავალთ და თამაშამდე იქვე მოვისვენებთ.

— ფარერებთან ტრადიციული განლაგებით ითამაშებთ?

— დიახ, კვლავ 4-3-3-ით.

— მალხაზ ასათიანი დაცვაში იქნება?

— ამას ახლა ვერ გეტყვით, რადგან ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

— ფარერებთან თუ ფრე ითამაშეთ, ძალიან ცუდ შედეგად ჩათვლით?

— პოზიტიური შედეგი მხოლოდ სამი ქულა იქნება.

— საქართველო ფავორიტად ითვლება ფარერებთან — ეს ფეხბურთელების ფსიქოლოგიაზე რა გავლენას ახდენს?

— ფარერელთა ნაკრები მაღალი სათამაშო დისციპლინით გამოირჩევა და ასეთი გუნდის დამარცხება ნებისმიერი მეტოქისთვის ძნელია. ეს ჩვენმა ფეხბურთელებმაც კარგად იციან და იციან ისიც, რომ ჩვენ ფარერელებზე კარგი ფეხბურთელები გვყავს.

— გარდა სათამაშო დისციპლინისა, ფარერელთა ყველაზე ძლიერ მხარედ რას მიიჩნევთ?

— ფარერელთა გამორჩეული თვისება ნახევარდაცვაში ძლიერი თამაშია, ისინი ნახევარდაცვაში საკმაოდ ჭკვიანურად მოქმედებენ, ამავე დროს სულ კონტაქტში არიან მოწინააღმდეგესთან. ასეთი თამაშით მათ შეუძლიათ, ნებისმიერ მეტოქეს გაუართულონ საქმე. ფარერელთა თამაშის სტილი ბრიტანულს წაგავს.

— და ასეთ მეტოქესთან რის ხარჯზე შეუძლია საქართველოს ნაკრებს წარმატებულად თამაში?

— საქართველოს, უბრალოდ, შეუძლია ფარერების დამარცხება.

დავით თავართქილაძე

ინგლისი

კონფერენსლიგა. II ტური

ბარტონი 1:1 კიდერმინსტერი
დაგ ენდ რედი 0:1 ოძსფორდი
ექსეტერი 1:0 ფორესტ გრინი
გრეივსენდი 4:1 ტემფორთი
ჰალიფაქსი 1:1 საუთპორტი
ნორთვიჩი 0:2 მორეკომბი
რაშდენი 1:3 გრეისი
სტ. ალბანსი 0:0 კემბრიჯი
სტეფორდი 1:0 ალტრინჰემი
სტივენეიჯი 1:2 იორკი
ვეიმუტი 1:0 ალდერშოტი
უოკინგი 1:2 ძრევლი

შოტლანდია

თასი

ეარი 2:1 ლივინგსტონი
ბრეჩინი 1:2 არბროთი
კუუდენბითი 4:0 სტირლინგი
დამბარტონი 1:2დ.დ. (0:0) მორტონი
ისტ სტირლინგი 0:5 ძუინზ პარკი
ფორფარი 2:1 დანდი
ჰამილტონი 3:1 ბერვიკი
პარტიკი 1:2 ალბიონი
ძუინი 1:0 სტრანრარი
სტ. ჯონსტონი 3:1დ.დ. (1:1) რეითი

ამხანაგური მატჩები

სლოვენია 1:1 ისრაელი
სლოვაკეთი 3:0 მალტა
უელსი 0:0 ბულგარეთი
ისლანდია 0:0 ესპანეთი
ალჟირი 0:2 გაბონი
განა 2:0 ტოგო
უკრაინა 6:0 აზეიბაიჯანი

უგვედეთი

სუპერლიტა
XV ტური

ატვიდაბერგი 1:0 დეგერფორსი

ამხანაგური მატჩები. (U21)

რუსეთი 0:1 თურქეთი
ჩეხეთი 0:1 სერბეთი
საფრანგეთი 0:1 ბელგია
გერმანია 2:2 ჰოლანდია
იტალია 0:0 ხორვატია

2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი (U21)

ინგლისი 2:2 მოლდოვა

ახალგაზრდულები

მობილური კავშირი

„გამარჯვება ან სიკვდილი“-ვით სლოგანი გამოუფენია ლიტვის ახალგაზრდული ნაკრების ქომაგებს: „უპირობო მოგება ქართველებთან!“ აიხდენენ თუ ვერა ბალტიისპირელები საწადელს, დღეს ვნახავთ: ჩვენი დროით 20 საათზე კაუნასის დარიუსის და ჟირენასის სახელობის სტადიონზე 21-წლამდელთა ევრო 2007-ის მეორე შესარჩევი ეტაპის მატჩი დაიწყება, რომელსაც ფინელი მსაჯი პეტერ კარი განსჯის.

გეცოდინებათ, ქართველ 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი რალფ მინგე ფარერებზეა და კლაუს ტოპმიოლერს ეხმარება ეროვნულ ნაკრებში. ჰერ რალფის ნაცვლად კაუნასში ახალგაზრდულ ნაკრებს კობა ჟორჟიკაშვილი უმწვრთნელებს და, საჭიროებისამებრ, მინგესგან რჩევებს ტელეფონით მიიღებს.

ქართველმა ახალგაზრდებმა პირველი ვარჯიში გუშინწინ ჩაატარეს კაუნასში, გუშინ კი ორჯერ ივარჯიშეს.

დღეს ჟორჟიკაშვილი ვერ ათამაშებს მარცხენაფლანგელ ზაალ ელიავას, ვინც ტრავმირებულია.

დასაწყისში სლოგანზე რომ ვთქვით, ეგ ლიტველებისაა, ქართველები კი ფრის შემთხვევაშიც არ წაიშენენ თავში ხელებს — აკი თქვა კიდეც რალფ მინგემ, ლიტვასთან ქულა კარგი შედეგია, მერე ხომ სერბეთთან შინ გვაქვს თამაშიო. სწორი გათვლა კია, მაგრამ ისიცაა, რომ სერბეთი ლიტვაზე ძლიერი გუნდია...

კაუნასი. 16 აგვისტო. 20 საათი. დარიუსის და ჟირენასის სახელობის სტადიონი

ლიტვა — საქართველო

მსაჯები: პ. კარი, ი. იკონენი, ტ. კოტინურმი; ი. პიიტია (ფინეთი); **უეფას დელეგატი:** ი. ობლოჟინსკი (სლოვაკეთი)

როგორ ემზადება ჩვენი ნაკრები, რას წერს ლიტვური პრესა და რა მდგომარეობაშია მეტოქე — ამ ყველაფერზე 21-წლამდელთა ცენტრალურ მცველ აპაკი ხუბუტიას შევეხმიანეთ, ის ხომ ლიტვურ „ვილნიუსში“ თამაშობს და ბალტიისპირელთა ავანჩავანში კარგადაა გარკვეული...

ჰართსიანი ლიტვა და გულიანი საქართველო

— ჩვეულებრივ ვემზადებით, თუმცა მასპინძლებს შინაური კედლების გარდა ის უპირატესობაც აქვთ, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლია. ზოგს ტრავმა აქვს, ზოგიც ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული... მათე ღვინიანიძე კი დისკვალიფიცირებულია.

— 21-წლამდელთა ბოლო ოფიციალურ მატჩში, მალტასთან გოლი შეაგდე. ალბათ, ლიტვასთანაც ძირითადში ითამაშებ...

— ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. ისე კი, კარგ ფორმაში ვარ, ერთ-ორ მატჩს თუ არ ჩავთვლით, „ვილნიუსში“ თითქმის შეუცვლელად ვთამაშობ. ის ბოლო მატჩებიც, არ გამოვრიცხავ, იმიტომ გამომატოვებინეს, რომ ლიტვის ნაკრებთან თამაშს იდეალურ ფორმაში არ შევხვედროდი.

— „ვილნიუსში“ განათხოვრებით ხარ და ისევ „კაუნასში“ დაბრუნებაზე ხომ არ ფიქრობ?

— ჯერ არ გადამიწყვეტია. „კაუნასის“ მფლობელმა ვლადიმირ რომანოვმა გამოთქვა ჩემი დაბრუნების სურვილი და ვნახოთ, რა პირობები მექნება, რამდენად მომეცემა ძირითადში თამაშის შანსი.

— ლიტვის ახალგაზრდულ ნაკრებზე რას იტყვი, როგორ ემზადებიან და რას ელიან ხვალინდელ თამაშში?

— სერიოზული გუნდია, აწყობილ ფეხბურთს თამაშობენ და შემადგენლობაც კარგი ჰყავთ. აი, შემტევი ნახევარმცველი შაულიუს მიკოლაიუნასი დაიმატეს ეროვნული ნაკრებიდან — ძალიან მაგარი ბიჭია, შოტლანდიური „ჰართსის“ ლიდერად ყალიბდება. მიკოლაიუნასმა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციოში აეკ-ს გოლი გაუტანა და, საერთოდაც, შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა...

ტანმაღალი ფორვარდი ევალდას რაზულისი კი სამარის „კრილიაში“ შეცვლებზე თამაშობს და მასაც ტალანტად თვლიან. ლიტველებს „სატურნის“ ნახევარმცველი, დისკვალიფიცირებული ედგარას ჩესნაუსკისი დააკლდებათ.

— ლიტვური პრესა და სპეციალისტები როგორ პროგნოზს აკეთებენ?

— მხოლოდ ოპტიმისტურს. არხეინად არიან-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მოგების გარდა არაფერზე ფიქრობენ.

19 წლის **ნუპრი რევიშვილს** *აღმავლობის პერიოდი აქვს. როგორია, სიყმაწვილეში რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის კარს ვანდობენ. რეკორდულმა ორი მშრალი მატჩი ჩატარა ყაზანის „რუბინში“ და ვინძლო, დღეს ლიტვასთან გაასამართ...*

— ბოლო მატჩებში ჩემმა კონკურენტმა კოლინკომ ბლომად ბურთები გაუშვა და მწვრთნელმა ჩემი დაყენება გადაწყვიტა. მგონი, გავამართლე და ვნახოთ, რამდენად დიდხანს მენდობიან. რუსეთში მაინც ძლიერი ჩემპიონატია და ხომ იცით, ახალგაზრდას ძნელად ენდობიან.

— „რუბინს“ კარგა ხანია, აღარ მოუგია. ჩემპიონობაზე აღარ ფიქრობთ?

— არა, რატომ?! პრემიერლიგაში ლიდერები ითქმის ერთი დონისანი არიან. უბრალოდ, ფეხი არ უნდა დაგიცდეს, თორემ ნახეთ, როგორ დავემართა: პირველი ადგილიდან უკან მეშვიდეზე ჩამოვედით. მოკლედ, ჩემპიონობის შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს, წინ თოთხმეტი ტურია.

— ლიტვასთან თამაშის წინ რას იტყვი?

— ვფიქრობ, ფრე არ იქნება ურიგო შედეგი. თანაც იმ პირობებში, როცა ამდენი ფეხბურთელი გვაკლია: ღვინიანიძე, კანკავა, იმედაშვილი, მარცვალაძე, ჭელიძე...

ილია ნანოგაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გთავაზობთ ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების საშინაო მატჩებზე დასასწრები აბონემენტების დაჯავშნას!

ჩვენი გუნდი თბილისში უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ საფრანგეთს, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტ უკრაინას, შოტლანდიას, ლიტვას და ფარერის კუნძულების ნაკრებს.

ხსენებული ექვსი ოფიციალური თამაშის გარდა, აბონემენტის მფლობელი საქართველოს ნაკრების ერთ ამხანაგურ თამაშსაც დაესწრება, ჯამში კი, ჩვენი გუნდის შვიდ შეხვედრას იხილავს!

ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში ხუთი კატეგორიის აბონემენტი გაიყიდება:

პირველი კატეგორია — 310 ლარი
მეორე კატეგორია — 200 ლარი
მესამე კატეგორია — 115 ლარი
მეოთხე კატეგორია — 63 ლარი
მეხუთე კატეგორია — 32 ლარი

აბონემენტის დაჯავშნის მსურველები 16 აგვისტოდან დაგვიკავშირდით ყოველდღე (გარდა შაბათ-კვირისა) 12 საათიდან 17 საათამდე შემდეგ ტელეფონზე: 877 990 970. საკონტაქტო პირი — ირაკლი ნაკაიძე.

სფფ-ის მარკეტინგის სამსახური

ცანკერმა აჭარა შეაჯამა და პალანგა გამოუვიდა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ლიტვაში, პალანგის საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ გაემგზავრა. ნაკრების გერმანელმა თავკაცმა ჰერბერტ ცანკერმა თან 18 ფეხბურთელი იახლა, რომლებიც აჭარულ შეკრებაზე სომეხ 17-წლამდელებთან ჩატარებული ორი ამხანაგური მატჩის (1:0 და 0:1) შემდეგ შეარჩია.

ქართველები ტურნირს 17 აგვისტოს პოლონეთთან მატჩით იწყებენ.

შეგახსენებთ, რომ პალანგის ტურნირი ქართველებისთვის უცხო არაა — ორგანიზატორები ჩვენებს რეგულარულად იწვევენ ხოლმე.

აი, ცანკერის სიაც: გიორგი მაკარიძე, დავით ოდიშარია, ზვიად ქანთარია, გიორგი სალარიძე, გიორგი გეთიაშვილი, ვაჟა ნემსაძე, გიორგი მამუჩიშვილი, თორნიკე თარხნიშვილი, ბესიკ კვარაცხელია, ირაკლი კალანდია, გურამ მინდორაშვილი, მიხეილ ხოკერაშვილი, ცოტნე ბუკია, ბექა ბეროშვილი, გიორგი ჯოხაძე, ზაქარია ბეგლარიშვილი, ლევან ყენია, ილია სორდია.

გურამ დოლენჯავაშვილის ფოტო

ძახა შალამბერიძე

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

პრეზიდენტმა გუსინი დაიყოლია

ახალი ბლოხინი ახალ ციკლში

ანდრეი გუსინი არსადაც არ წავა — ასეთი ცნობა გაავრცელეს გუშინ უკრაინულმა გაზეთებმა. რუსული „კრილია სოვეტოვის" კაპიტანი აზერბაიჯანთან გუშინდელი ამხანაგური მატჩის შემდეგ სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებდა, თუმცა...

შეკრებაზე ჩასულ გუსინს ჯერ მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი ესაუბრა, ოღონდ გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა, მოგვიანებით კი საქმეში უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი ჩაერთო და პრობლემაც მოგვარდა —. გუსინმა წასვლა გადაიფიქრა... ასე რომ, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, იგი 6 სექტემბერს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს.

გუსინთან შეხვედრამდე კი სურკისმა ერთი საქმეც მოაკვარახჭინა — ოლეგ ბლოხინს და მის თანაშემწეებს ორი წლით გაუგრძელა კონტრაქტი.

— დიახ, ნაკრებში ევრო. 2008-ის შესარჩევი ციკლის ბოლომდე დავრჩები. ეს ამბავი უკვე გადაწყვეტილია. ახლა წინ ახალი ბრძოლები გველის — ჯგუფში იტალია და საფრანგეთი გვჭავს. ძალიან საშიშია საქართველოც, ამ გუნდისგან ყველაფერია მოსალოდნელი, შოტლანდია და ლიტვაც არ დაივიწყოთ, ფარერებზე ჩასვლისა კი რა გითხრათ. იქ მარტში თოვლზე მოგვიწევს თამაში თუ ყინულზე, არავინ იცის — განაცხადა პრესკონფერენციაზე ოლეგ ბლოხინმა.

საქართველოს ნაკრებთან შესარჩევ მატჩამდე ოთხი დღით ადრე, 2 სექტემბერს კი უკრაინა ერთ ტესტ-მატჩსაც გამართავს — კონჩაზასპას ბაზაზე კიევის ცსკა-ს გაეჯიბრება.

ძახა შალამბერიძე

საქართველოს 18 ჩემპიონატი

პირველი ლიგა | წრე. 1 ტური

მერცხალი ოზურგეთი 2:0 **გაბრა**

მესხეთი ახალციხე 2:1 **მაღაროელი** ჭიათურა

ზესტაფონი 2 2:2 **სამტრედია**

ამერი 2 თბილისი 0:0 **ოლიმპი** თბილისი

ჩიხურა 2 საჩხერე 0:1 **მეშაძრე** აგარა

სპარტაკი თბილისი 3:0 **გურია** ლანჩხუთი

ნორჩი დინამოელი თბილისი 1:2 **დინამო 2** თბილისი

რაჭა ონი 3:3 **მეშახტე** ტყიბული

მგლები ზუგდიდი 1:0 **ვიტ ჯორჯია 2** თბილისი

ამერმა ლოკომოტივს საჰერტოდ მოუგო

ზაფხულდატვირთულმა თბილისის „ამერმა" ბერლინიდან დაბრუნების შემდეგ პირველი მატჩი გამართა და თბილისის „ლოკომოტივს" „მიხეილ მესხზე" 3:1 მოუგო. შეხვედრა ამხანაგური იყო და გუნდებმაც თითქმის ყველა ფეხბურთელი გამოსცადეს. გამონაკლისები იყვნენ გლდანელთა ფორვარდი რატი წინამძღვრიშვილი და მცველი ზურაბ გვაძაბია — მოგეხსენებათ, ისინი საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებთან ერთად არიან ლიტვაში

ლოკომოტივი 1:3 ამერი

1:0 კვახაძე (43), 1:1 ტატანაშვილი (20), 1:2 დავითაშვილი (61), 1:3 ბოლქვაძე (78)

ლოკომოტივი: გვარამაძე, მიხაილიდი, თუთბერიძე, გუშარაშვილი, ებრალიძე, გ. კვახაძე, ვ. გოჩაშვილი, ალავერდაშვილი, ბარბაქაძე, გულორდავა, კუპრეიშვილი.

შეცვლაზე შევიდნენ: მიგინეიშვილი, ცხომარია, ყოფანი, ბახტაძე, დ. ფოფხაძე, დეისაძე, ბუდალაშვილი, პარამონოვი.

ამერი: ქვაჩახია, კედელაშვილი (დ. მჭედლიშვილი 46), ელბაქიძე, ჩიკვილაძე (დავითნიძე 46), ნიკოლაიშვილი (დობროვოლსკი 46), სევასტოპულო (ს. დავითაშვილი 46), სილაგავა (დეკანოსიძე 46), ტატანაშვილი, ბერიანიძე (ხვადაგიანი 46), ჯელაძე (დოლიძე 46), გაბისკირია (ბოლქვაძე 46)



საბოლოო ანგარიში დავით ბოლქვაძის გოლით დაფიქსირდა

გაფრი კვირიკაძის ფოტო

თამაში ხეირიანად არც დაწყებულიყო, რომ რკინიგზელმა გიორგი ალავერდაშვილმა ამერელ თენგიზ ჩიკვილაძეს საჯარიმოში წესები დაარღვევინა, პენალტი კი გიორგი კვახაძემ გარდასახა გოლად — 1:0. ისე, „ყვითლების" მეკარე ზურაბ ქვაჩახიამ კუთხე კი გამოიცნო, მაგრამ ოღნავ ვერ შესწვდა ბურთს.

შეგახსენებთ, კვახაძე წინა სეზონში „ამერში" თამაშობდა და ახლა „ლოკომოტივშია" განათხოვრებული.

მოკლედ, ამირან მინაშვილის შეგირდებმა კარგად დაიწყეს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ამერელებს პირველ ტაიმში მეტწილად სათადარიგო შემადგენლობა ჰყავდათ და, როცა შესვენების შემდეგ ძირითადები გამოჩნდნენ, სასწორი უმალ გლდანელების მხარეს გადაიწონა. ისე, გიორგი ჩიხრაძის გუნდი შესვენებამდეც სჯობდა „ლოკომოტივს" და დიმიტრი ტატანაშვილს ორი ურეალურესი მომენტიც ჰქონდა, რომელთაგან ერთი გამოიყენა — მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობისას დავით სევასტოპულოსგან ბურთი მიუვიდა და თითქმის წაქცეულმა მოახერხა ზუსტად დარტყმა.

მეორე ნახევარში „ლოკომოტივის" შემადგენლობაში ტანმაღალი დიმიტრი პარამონოვი გამოჩნდა — გეხსომებათ ეს ფეხბურთელი, ბოლოს ქუთაისის „ტორპედოში" ირიცხებოდა, ახლა კი რკინიგზელებთან გასინჯვაზეა.

„ლოკომოტივის" ცვლილებებზე რა გითხრათ, „ამერმა" კი დობროვოლსკი-დეკანოსიძე-ბოლქვაძის წყალობით მოედნის ცენტრი დაიკავა და აშკარა უპირატესობა მოიპოვა. გოლიც დეკანოსიძის დახატული პასის შემდეგ გავიდა, როცა სულიკო დავითაშვილი პირისპირ შეეყარა მეკარეს და შორეულ კუთხეში შეაგდო — 2:1.

საქმე კი დავით ბოლქვაძემ დაასრულა: საჯარიმო დარტყმისას უზუსტესად შემოატარა ბურთი ცოცხალ კედელს და „ამერს" ორბურთიანი სხვაობით მოაგებინა...

ილია ნანოგაშვილი

ლათინური სამაია ფეროში

ერთი ნაღდი, ერთიც ბჟალავა

„ზესტაფონი" რომ სამი პარაგვაელი ფეხბურთელის დამატებას აპირებს, ახალი ამბავი არაა. ახალი ისაა, რომ სამივე სამხრეთამერიკელი ზესტაფონში დღეს ჩავა და გუნდთან ერთად ივარჯიშებს. მათი გვარები ჯერ ვერ შევიტყვეთ, თუმცა შეგახსენებთ, ორი მათგანი ცენტრალური ნახევარმცველია, ერთი კი — ფორვარდი.

ისინი პარაგვაის ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან და, როგორც გავიგეთ, ერთ-ერთს „ზესტაფონი" ეგრევე კონტრაქტს გაუფორმებს, ორს კი გასინჯვა მოუწევს.

და ერთი სიახლეც: ზესტაფონელებმა თბილისის „ამერის" ნახევარმცველი მირზა ბჟალავა გამოისყიდეს.

ილია ნანოგაშვილი

გაფრი კვირიკაძის ფოტო

ამ კაცმა მთელი იტალია გააპალაჩა

ინკვიზიტორ პალაციის არეცოც არ ეცოტავება

სახელმწიფო ბრალმდებელმა სტეფანო პალაციმ ფრთები გაშალა, მიზანში ახალი მსხვერპლი ამოიღო — „არეცო“. „არეცო“, ისევე, როგორც „სარბიელის“ ფურცლებზე ბევრჯერ ჩამოთვლილი რამდენიმე იტალიური გუნდი, კალჩოპოლის სკანდალში მოყვა, უფრო გასაგებად კი, ბრალად „სალერნიტანასთან“ უპატიოსნო თამაში ედება...

... და სწორედ ამიტომ ითხოვს ზემოხსენებული პალაცი მის სერია C-ში გაგდებას, ზედაც სამი ქულის დაკლებით. სხდომის იმ ნაწილში, რომელიც „არეცოს“ ეხებოდა, ბრალმდებელმა ჯერ ტოსკანიური კლუბის ვექილს მოუსმინა, მერე კი გუდას პირი მოხსნა და თავისები თქვა. მატჩი, რომელსაც ტოსკანიელებს ედავებიან, 2004-05 წლების სეზონში სერია B-ში ჩატარდა.

და მაინც, ალბათ, საჭიროა კიდევ უფრო ზუსტად ვიცოდეთ, კერძოდ რა დააშავა „არეცომ“. აი, რა: არსებობს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოვნიკის, ჯენარო მაცეისა და თანამსაჯ სტეფანო ტიტომანლიოს სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, სადაც ისმის ფრაზა „სალერნიტანას დაქაჩვა“. პალაცი ამტკიცებს, რომ აქ სხვა არაფერი იგულისხმება, თუ არა „არეცოს“ სასარგებლოდ სჯა, თუმცა, როგორც თავად ხედავთ, პირდაპირი სამხილი იმისა, რომ ეს ყველაფერი „არეცოს“ რომელიმე შეფისგან მოდის, არ არსებობს. და მაინც, სახელმწიფო ბრალმდებელი იმის სახელმწიფო ბრალმდებელია, რომ მარცხნივ თუ მარჯვნივ ყველას მაქსიმალური დასჯა მოითხოვოს და აკი მოითხოვა კიდეც მაცეისა და ტიტომანლიოს ხუთი წლით ფეხბურთიდან მოკვეთა.

ტრიბუნალის იმავე სხდომაზე სტეფანო პალაციმ მავანი ლეონარდო მეანის სამი თვით დასჯა ითხოვა. ეს ადამიანი „მილანში“ მუშაობდა მსაჯებთან ურთიერთობის ოფიცრად და, როგორც ბრალმდებელი მიიჩნევს, ქვეყნის საფეხბურთო ხელისუფალთ უმალავდა იმ მანკიერებებს, რომელთა შესახებაც კარგად მოეხსენებოდა. საბოლოოდ, „შავ-წითლები“ შეიძლება 10 ათასი ევროთი დაჯარიმონ, თუმცა ეს „მილანისთვის“ დიდი არაფერი სასჯელი რომ არ გახლავთ, ფაქტია და ამიტომ ისევ „არეცოს“ ამბავს დავუბრუნდეთ.

„ჩემთვის სრულიად გაუგებარია რატომ ითხოვს პალაცი სერია C-ში ჩვენს გაგდებას — გაშალა ხელები „არეცოს“ პრეზიდენტმა პიერო მანჩინიმ — არანაირი თანამიმდევრობა ტრიბუნალის დღევანდელ და 20 დღის წინანდელ სხდომებს შორის არ არსებობს. ვერ ვხვდები, რას ეყრდნობა პალაცი, მაგრამ მგონია, რომ მოსამართლეები ამ გაუგებრობას არ აყვებიან და ამიტომ მშვიდად ვარ“.

შეგახსენებთ, რომ პალაციმ აგრეთვე მოითხოვა „რეჯინას“ სერია B-ში გაგდება და მინუს 15 ქულით დატოვება. რეჯოკალაბრიელებს ბრალად იმავე 2004-05 წლების სეზონში „ატალანტასთან“, „სამპდორიასთან“ და „პალერმოსთან“ მსაჯების დახმარებით თამაში ედებათ.

პაპუნა კედია

NEDVED END

დიდი ჩეხი ჩეხოობას მორჩა

„იუვენტუსის“ ნახევარმცველმა პაველ ნედვედმა განაცხადა, რომ დღეს, სერბებთან ამხანაგური თამაშის შემდეგ სანაკრებო ფეხბურთიდან მიდის.

„ეს ჩემი ბოლო შეხვედრაა — უთხრა ჟურნალისტებს 33 წლის ჩეხმა — ეს გადაწყვეტილება ჯანმრთელობის გაუარესების გამო არ მიმიღია. უბრალოდ, არსებობს სხვა მრავალი ფაქტორი და ესეც რომ არა, მინდა ახალგაზრდებს დავუთმო გზა“.

შეგახსენებთ, რომ ნედვედი 2003 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობაში მან 90 შეხვედრაში 18 გოლი გაიტანა.

პაპუნა კედია

კარლიტო კარლოსთვის

არიენ რობენის, ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ბრაზილიელი რონალდინიოს არშემდგარი ტრანსფერების შემდეგ, „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ „კორინთიანსის“ არგენტინელი ვარსკვლავის, კარლოს ტევესისკენაც გაიხედა. კარლიტოს ბრაზილიის ჩემპიონატში ბურთაობა მობეზრებული აქვს, „კორინთიანსის“ ფანებთანაც ურთიერთობა გაუფუჭდა და არგენტინული და იტალიური მედიის ცნობით, კარიერის გაგრძელებას რომელიმე ევროპულ გრანდში აპირებს.

ეს გუნდი შეიძლება „მილანი“ გამოდგეს. „როსონერის“ მეპატრონე ბერლუსკონიმ დასახმარებლად უკვე რომან აბრამოვიჩს მიმართა. „ჩელსის“ რუს მილარდერს „კორინთიანსის“ თავკაცობასთან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს და სილვიო ბერლუსკონიმ ტევესის ხელში ჩასაგდებად უშუალოდ რომან არკადიევიჩთან შეხვედრა არჩია.

თუმცა დონ სილვიოს კლუბი არც მეორე მოიერიშეს, რეალელ რონალდოს ივიწყებს. მილანელები საშეფო გუნდს კიჭას სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს სთავაზობენ, რაც მადრიდელებს არ მოსწონთ — უფრო მეტი უნდათ. გუშინდელ ესპანურ „მარკაში“ ეწერა, რომ „მილანის“ მიზანი რონალდოს 4 წლით „სან სიროზე“ გადაყვანაა. გასამრჯელოდ კი სახელგანთქმულ ფეხბურთელს წლიურად 9 მილიონ ევროს სთავაზობენ.

ლადო ხომერიკი

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (აღმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

ტაქსი, ტაქსი!

ძამბროტა მანქანიდან გადმოაგდეს

ფრანკ რაიკარდი

ერნესტო ვალვერდე

ბარსელონელმა ტაქსისტმა ჯანლუკა ძამბროტა გააწბილა. ამერიკული ტურნედან დაბრუნებული „ბარსას“ ზოგიერთი ფეხბურთელი (ძამბროტა, ტურამი, სამუელ ეტოო) რიგი მიზეზების გამო, კლუბის ავტობუსში ვერ მოხვდნენ და იძულებულნი გახდნენ, სტადიონამდე მისასვლელად ტაქსით ესარგებლათ. იტალიელმა ძამბროტამ ტაქსი კი გააჩერა, მანქანაშიც ჩაჯდა, თუმცა მძღოლმა ფეხბურთელი... ჩამოაგდო. „მე „ესპანიოლის“ ფანი ვარ და „ბარსას“ ფეხბურთელს მანქანაში არ ჩავისვამ“ — განუცხადა ფანატიკოსმა კაცმა სახტად დარჩენილ ძამბროტას.

რა თქმა უნდა, იტალიური გაზეთები მაშინვე აჭრელდა სათაურებით: „ძამბროტა კატალონიაში დისკრიმინაციას განიცდის“, „ესპანიოლის“ ინჩასმა ჯანლუკა ძამბროტა შეურაცხყო“ და ასე შემდეგ. „კამპ ნოუზე“ სულ ცოტა ხნის წინ გადაბარგებულმა აპენინელმა კი საკუთარ თავზე იწვნია „ბარსა“-„ესპანიოლის“ შიდაქალაქური სიძულვილი რასაც ნიშნავს. კატალონიური დერბი ერთ-ერთი უმთავრესია ესპანურ პრიმერადივიზიონში. ამ გუნდების ფანებს მეტოქე სასტიკად ეჯავრებათ და „ესპანიოლის“ მავანმა ქომაგმაც მსოფლიოს ჩემპიონი ძამბროტა მანქანიდან ამიტომ ჩამოაგდო...

იტალიელი პრატის აეროპორტში მცირე ხანს გაოგნებული იდგა. შემდეგ სხვა ტაქსისტთან მივიდა და მანქანაში ჩაჯდომამდე პირველად ის ჰკითხა, რომელ გუნდს ქომაგობო. საბედნიეროდ, მეორე მძღოლი პირველივით რადიკალი არ აღმოჩნდა და ძამბროტამაც მშვიდობით მიაღწია „კამპ ნოუზე“.

„ესპანიოლის“ ერთგულ გულშემატკივარს კი ჟურნალისტები მისცივდნენ. ხუმრობა საქმე ხომ არაა, ამხელა ფეხბურთელი მანქანიდან ბურთივით ისროლო... „მე ჩემს მანქანაში ვისაც მინდა, იმას ჩავსვამ. „ბარსელონას“ ფეხბურთელებისთვის კი აქ ადგილი არ არის“ — ბრაზიანად მოუჭრა ინჩასმა და მედიის შეკითხვების თავიდან ასაცილებლად იქაურობას გაერიდა.

კატალონიური „სპორტის“ ცნობით, ფიცხ ტაქსისტს ბარსელონის მუნიციპალიტეტი სამაგალითოდ დასჯის. ასევე შავი დღე დაადგებათ იმათ, ვინც ამერიკიდან შინ დაბრუნებული ფეხბურთელების ავტობუსში დროულად ასვლა ვერ უზრუნველყო. „ბარსას“ ხელმძღვანელობა პრატის აეროპორტში გუნდის დახვედრის ორგანიზატორებს მწარედ შეახურებს, მათი უთავობის გამო ფეხბურთელები დაზარალდნენ — წერს კატალონიური „სპორტი“.

ტურამი და სამუელ ეტოოც ტაქსით მივიდნენ „კამპ ნოუმდე“. ძამბროტას კი უკვე ვიცით, რაც დაემართა.

მთელ ამ ორომტრიალს ინტრიგას ისიც მატებს, რომ 17 აგვისტოს „ბარსა“ და „ესპანიოლი“ ერთმანეთს ესპანეთის სუპერთასისთვის უნდა შეერკინონ... ბარსელონური გუნდების მწვრთნელები — ფრანკ რაიკარდი და ერნესტო ვალვერდე ბედმა ერთურს პირველად 2003-ის 30 აგვისტოს შეჰყარა. მაშინ ორივეს ესპანურ პრიმერაში დებიუტი ჰქონდა — რაიკარდი „ბარსაში“ ახალი მისული იყო, ერნესტო ვალვერდე ტეხედორი კი სამი წლის წინ ბასკური „ბილბაოს“ ახალბედა დამრიგებელი გახლდათ. თამაში „ბარსელონას“ გამარჯვებით, 1:0 დასრულდა.

ლადო ხომერიკი

მარადონა VS გრონდონა

არგენტინაში ომი გრძელდება

დიეგო მარადონას და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას შორის საგაზეთო პაექრობა არ შეწყვეტილა. „დიეგო შესახედად ზრდასრული ადამიანია, მაგრამ ბავშვივით იქცევა. ის ალბათ ვერც მიხვდა, შეურაცხყოფა რომ მომაყენა“ — განაცხადა სენიორ გრონდონამ არგენტინულ „პერფილთან“ ინტერვიუში.

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ რამდენიმე ხნის წინ გრონდონას „მაფიოზი“ უწოდა და პრეზიდენტიც საკმაოდ გააბრაზა. თუმცა პატაგონიელი ჩინოსანი თავს იმშვიდებს: „მარადონასგან ეს არ უნდა მეწყინოს. პატარა ბალღივითაა, სიტყვები დაუფიქრებლად სცვივა პირიდან...“

ყველაფერი კი დაახლოებით 10 დღის წინ დაიწყო, როცა პრეზიდენტმა გრონდონამ 1994 წლის მუნდიალზე მარადონას დაჯარიმება და ნაკრებიდან მოკვეთა თავად დიეგოს დაუბრალა — „ბნელი ძალები“ არაფერ შუაშია, ამერიკაში მარადონამ აკრძალული პრეპარატი მიიღო და მუნდიალიც იმიტომ დაატოვებინესო. შეგახსენებთ, რომ დაჯარიმებული დიეგო ამერიკაში ცრემლების ყლაპვით აცხადებდა, ყველაფერი მტრებმა მომიწყვესო.

„დიეგო მარადონამ 1999 წელს ორივე ფეხი თავადვე ძირში მოიკვეთა. ბნელი ძალები არაფერ შუაშია“ — თქვა გრონდონამ. ამის საპასუხოდ დიეგომ პრეზიდენტი მაფიოზობით შეამკო. სენიორ პატაგონიური ფეხბურთის თავკაცი კი, როგორც ხედავთ, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას ბალღური ჭკუის კაცად მიიჩნევს. წესით, ახლა მარადონას ჯერია...

ლადო ხომერიკი

კაცი პისტოლეტით

ირლანდიაში დაკითხეს კაცი, რომელზეც ეჭვობენ, რომ ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელ სტივ სტონტონს ჩრდილო დუბლინის სასტუმრო „პორტმარნოკის“ შესასვლელთან პისტოლეტით დაადგა თავს. საბედნიეროდ, ყოფილი მცველი, რომელსაც სამ მუნდიალზე გაუგორებია ბურთი და რომლის გუნდიც დღეს ჰოლანდიას ესპარინგება, უვნებლად გადარჩა. ბუნებრივია, ეს ინციდენტი არც მის სამუშაოს დაატყობს რაიმე კვალს.

სხვათა შორის, მწვრთნელი სასტუმროში იმიტომ იყო, რომ გუნდი ჰყავდა შეკრებაზე. როგორც „გარდაი“ (რაც ირლანდიის პოლიციას ნიშნავს) იუწყება, თავდამსხმელს არ გაუსვრია.

კაცი, რომელიც დააკავეს და დაკითხეს, ოცდაათ წელს გადაბიჯებული გახლავთ. ირლანდიური კანონების თანახმად მისი დაკავება ბრალის წაყენების გარეშე 72 საათით გახლავთ ნებადართული, მერე კი ან ბრალი უნდა წაუყენონ ან გაუშვან.

ინციდენტის წინ სტივ სტონტონი სასტუმროს შესასვლელთან ტელეფონით საუბრობდა.

პაპუნა კედია

სტივ სტონტონი

ძაღლი, ორი ოთხთვალა და როლექსის საათები

ენდი ვან დერ მეიდეს თავს რაღაც ხდება. წინა კვირაში, მოგეხსენებათ, ცუდად გახდა და ამტკიცებდა, ბარში სასმელი მომიწამლესო, ახლა კი განაცხადა, რომ ქურდებმა მოპარეს ჯიშიანი ძაღლი, ორი მანქანა და რვა საათი სულ „როლექსის“ ფირმისა. ეს ამბავი 26 წლის ჰოლანდიელ ფეხბურთელს შაბათს შუადღისას გადახდა, როდესაც თავად „გუდისონ პარკზე“ ბილბაოს „ატლეტიკს“ ეთამაშებოდა — ვან დერ მეიდე „ევერტონის“ წევრია.

ძაღლს, რომელიც ფეხბურთელს მოპარეს, ერქვა მაკი. მაკი შვიდი თვისაა და დუუ დე ბორდოს ჯიშისა გახლავთ. ამგვარ ძაღლებს სახელი ფილმ **TURNER AND HOOCH**-ის შემდეგ განსაკუთრებით გაუთქვამთ.

რაც შეეხება მანქანებს, ერთი გახლდათ „ფერარი“, მეორე კი **MINI COOPER**. სხვათაშორის, ავი საქმე რომ მოამთავრეს, ქურდებმა ვან დერ მეიდეს სახლიდან მოპარული მობილური ტელეფონით ფეხბურთელის მეგობარს დაურეკეს და გამოსასყიდად 5 ათასი გირვანქა სთხოვეს.

პაპუნა კედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

50 000 000 ასტონ ვილასთვის

ამერიკელმა პატრონმა ჯიბეში ხელი ღრმად ჩაიყო

„ასტონ ვილას“ ახალი, ამერიკელი პატრონი რენდი ლერნერი მწვრთნელ მარტინ ონილს ტრანსფერებისთვის 50 მილიონ გირვანქას მისცემს. გარდა ამისა, ონილს ექვსწლიან კონტრაქტს სთავაზობს.

ლერნერის ერთ-ერთმა მეგობარმა თქვა: „ირლანდიელ თავკაცს გრძელვადიან კონტრაქტს გავუფორმებთ. უგრძელესს, პრემიერლიგაში. სასაცილო იქნება, ჩვენი მხრიდან, ტრანსფერებზე საუბრისას რომ დავწვრილმანდეთ. როგორც კი საქმე ოდნავ წინ წაიწევს, რენდი მარტინს შეხვდება და გავიგებთ, თუ რა სურს მწვრთნელს და „ასტონ ვილას“.

კლუბის აქციათა უდიდესი ნაწილის მფლობელებმა დუგ ელისმა და ჯეკ პეტჩეიმ თავისი წილი მიჰყიდეს რენდი ლერნერს და სხვა თანამფლობელებსაც იგივე ურჩიეს. სხვებიც თუ მალე დათანხმდებიან, ამერიკელი კლუბის პატრონი ოფიციალურად ამ დღეებში გახდება და სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ახალი ფეხბურთელების ყიდვას მოასწრებს.

„ასტონ ვილას“ შეძენა უპირველეს ყოვლისა, მისი სიძველის გამო გადავწყვიტე. კლუბს განახლება სჭირდება“ — განაცხადა ლერნერმა.

რენდი ლერნერმა ამერიკულად დაიწყო

ობაფემი მარტინსი

დირკ კუიტი

მაჰამადუ დიარა



სტილიან პეტროვი

უილიამ გალასი

მარტინ ონილის სასურველ ფეხბურთელთა სია

დირკ კუიტი (ფეიენოორდი)	26 წლის	10 მილიონი
სტილიან პეტროვი (სელტიკი)	27 წლის	5 მილიონი
მაჰამადუ დიარა (ლიონი)	25 წლის	8 მილიონი
უილიამ გალასი (ჩელსი)	28 წლის	4 მილიონი
ობაფემი მარტინსი (ინტერი)	21 წლის	12 მილიონი

თანხა მითითებულია გირვანქა სტერლინგებში

ინგლისურზე ბოდიში

ფერარის საჭე გოლფის ყვანჯმა შეცვალა

რას ნიშნავს ლონდონში დასახლება? ვისთვის რას და ვისთვის რას. მაგალითად, ანდრეი შევჩენკოსთვის ეს, სპორტული მანქანებისთვის თავის დანებებას, გოლფში გაწაფვასა და ინგლისურის რაც შეიძლება მალე დაუფლებას ნიშნავს. ორშაბათს უკრაინელი ფორვარდი თემზაზე ნავით გაასეირნეს და მიიყვანეს ფეშენებელურ სანაოსნო კლუბში სადაც გაპრანჭული შეხვედრა მოუწყეს.

„ბოდიშს ვიხდი ინგლისური რომ არ ვიცი — იმ საღამოს შევჩენკო კითხვებს იტალიურად პასუხობდა — პირობას ვდებ, რომ რამდენიმე თვეში სულ სხვა სურათი იქნება“.

როგორც ამბობენ, მაისში „მილანიდან“ „ჩელსიში“ 30 მილიონ გირვანქიანი ტრანსფერის შემდეგ ვარსკვლავის ცხოვრება ძლიერ გადასხვაფერდა. მას მერე, რაც უკრაინის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის რვა უძლიერესს შორის მოხვდა, მილანის ნაცვლად ლონდონში ჩავიდა, თუმცა ადამიანისთვის, რომლის ოჯახშიც ათასი სხვადასხვა სისხლი ირევა, ახალი გარემო და ენა დიდ სიძნელეს წესით არ უნდა წარმოადგენდეს. ათასმა სისხლმა დაგაინტერესათ? მოდი, ერთად დავთვალოთ: შევჩენკოს მეუღლე კრისტენ პაზიკი, რომელიც ფეხბურთის ვარსკვლავმა ჯორჯო არმანის ფართიზე გაიცნო, ამერიკელი კი არის, მაგრამ მამით ფრანკო-პოლონელია, ხოლო დედით იტალო-ესპანელი. რაც შეეხება შევას, როგორც რომელიღაც ინტერვიუში ითქვა, მასში სულ მცირე ხუთი პროცენტი გერმანული გენია.

პაზიკი და შევჩენკო 2004 წელს ვაშინგტონის გოლფ კლუბში დაქორწინდნენ. ჰყავთ ვაჟი, სახელად ჯორდანი, რომელიც იმავე წლის ნოემბერში დაიბადა, მეორე ბიჭს კი წყვილი ამ წლის ბოლოს ელოდება.

„ჯორდანი ბევრს მახალისებს. მასთან ვისვენებ. აგრეთვე ვისვენებ ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ყოფნის დროს. მიყვარს გოლფის თამაშიც. დედ-მამამ ოჯახური ღირებულებები გამაცნო, მათ მასწავლეს მუშაობის ყადრი, ადამიანების პატივისცემა, პატიოსნება და სხვათა დახმარება. ამ გზისთვის არასდროს გადამიხვევია“.

მუყაითი

შევჩენკოს თვისებათაგან ყველაზე თვალშისაცემი მამისგან შემკვიდრეობით მიღებული დისციპლინაა. ბოლო 20 წლის განმავლობაში უკრაინელმა ვარსკვლავმა უამრავი ადგილი მოიარა, მერედა, როგორი ადგილები, ჩერნობილით დაწყებული ევროპის ელიტარული წვეულებებით დამთავრებული.

„გამიმართლა, რადგან მშობლები სულ გვერდით მედგნენ. წარმატებაც დიდი გამართლებაა, თუმცა მე იგი მუყაითი შრომითა და მსხვერპლის გაღებით მერგო“.

შეხვედრაზე შევჩენკომ რაგინდარა კითხვაზე პასუხის გაცემაში მაგრად ნავარჯიშები, ალღოიანი, ამბიციური და ჭკვიანი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. მისმა ამერიკელმა მეუღლემ თქვა, რომ თითქმის 30 წლის ანდრეის სახლში მხოლოდ ინგლისურად ელაპარაკება, ხოლო ის ცდილობს პასუხი იტალიურად არ გასცეს და წვალობს. როგორია, უცბად თავი დაანებო ენას, რომელზეც შვიდი წლის განმავლობაში ლაპარაკობდი და რომლის გარემოშიც ამდენს მიაღწიე.

და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შევჩენკომ „ფერარიზე“ შერყული იტალიიდან ინლისში გადაბარგების შემდეგ პირობა დაადო, რომ სისწრაფეს მოუკლებს გოლფს კი მოუმატებს.

„ლონდონში მხოლოდ ოჯახური მანქანით ვივლი“.

სოფელს, სადაც ანდრეი დაიბადა და გაიზარდა დვირკივშჩინა ჰქვია. ის კიევის მახლობლადაა. ბავშვობაში „ჩელსის“ ვარსკვლავი მისდევდა ჰოკეის, კრივს, ჭიდაობასა და კალათბურთს, თუმცა...

„საბოლოოდ ჩემი გული ფეხბურთმა მოიგო. მე და ფეხბურთმა ერთმანეთი ავირჩიეთ“.

ხოლო გოლფის მას ბავშვობაში არასოდეს უთამაშია, რადგან აბა, სად უკრაინა და სად გოლფი.

გამოცდაზე ჩავარდა

დვირკივშჩინადან ჩერნობილამდე 130 კილომეტრია, ჩერნობილი კი ის ადგილია, სადაც 1986 წელს ატომური ელექტროსადგური აფეთქდა და რადიოაქტიური საშინელება მთელს ევროპას მოაფრქვია. დედამიწაზე ამაზე დიდი ატომური კოშმარი არ ყოფილა. გარემოს მოწამვლ თ, აბა, სად ის და სად ჰიროსი და ნაგასაკი.

„მაშინ პატარა ვიყავი და რა მოხდა კარგად ვერ გავიგე, მაგრამ მერე მივხვდი ყველაფერს. ეს მხოლოდ ჩერნობილის ან უკრაინის კი არა, მთელი მსოფლიოს ტრაგედია იყო“.

შემდეგ შევჩენკომ მოიგონა ის დრო, როდესაც მისი ოჯახი დონეცკთან გადავიდა საცხოვრებლად. ის მთელი დღეები ბურთს დასდევდა და ერთხელ გამოცდაში ჩაიჭრა... ფეხბურთის გამოცდაში. დიახ, ანდრეი შევჩენკო ბავშვთა სპეციალიზებულ სპორტსკოლაში ვერ მოხვდა, რადგან ტექნიკის ტესტი ვერ გაიარა, მაგრამ საბედნიეროდ უკვე 13 წლის კიევის დინამოელი იყო და კარიერაც არ შეუწყვეტია. სხვათა შორის, შევამ მოიგო უელსში იან რაშის ტურნირი და საჩუქრად მისი ბუცები გადასცეს, ხოლო, უკვე მერე, როგორც პროფესიონალმა, კიეველთა შემადგენლობაში 207 შეხვედრაში 127 გოლი შეაგდო.

ანდრეი შევჩენკო გახლავთ პირველი უკრაინელი, ვინც ჩემპიონთა თასი მოიგო, ოღონდ ეს, ბუნებრივია, უკვე „მილანის“ დროს მოხდა, 2005 წელს, მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“.

„და მთავარი დასკვნა რაც მაშინ გავაკეთე ის გახლავთ, რომ მოგებას და წაგებას შორის ძალიან პატარა მანძილია. ხშირად მოგება მხოლოდ იღბალზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ ვერ ვეუბნები „ჩელსის“ ქომაგებს წინასწარ რამეს. მე, უბრალოდ, ვიმუშავებ თავდაუზოგავად, ვისწავლი ინგლისურს და იმედს ვიქონიებ, რომ გავიმარჯვებთ“.

პაპუნა კედია

ამხანაგური მატჩები

ახალი სისხლი ნარინჯისფერ ძარღვებში

კლაას იან ჰუნტელაარი

ირლანდია — ჰოლანდია

მარკო ვან ბასტენი ნაკრების გადახალისებას აპირებს მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი გუნდი მერვედფინალს ვერ გასცდა.

მოგეხსენებათ, ფილიპ კოკუმ საანაკრებო კარიერა დასრულა, ხოლო რუუდ ვან ნისტელროიზე და მარკ ვან ბომელზე მწვრთნელმა უარი თქვა. ასეთ შემთხვევაში თავის გამოჩენის შანსი ეძლევათ ახალგაზრდებს, ფორვარდ კლაას იან ჰუნტელაარს და ნახევარმცველ სტინ შაარსს.

ვან ბასტენი გამთამაშებლობას, ალბათ, სტინ შაარსს დააკისრებს, ხოლო ვან ნისტელროის ადგილს აიაქსელი ჰუნტელაარი დაიკავებს, რომელმაც გასულ სეზონში 34 მატჩში 33 გოლი გაიტანა. უცნაურია, რომ ჰოლანდიელთა მწვრთნელმა იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანა და სწორედ კარგი ფორვარდი აკლდათ „ნარინჯისფერებს“.

22 წლის ჰუნტელაარმა ერთი კვირის წინ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში „კოპენჰაგენთან“ ორი გოლი გაიტანა და „აიაქსს“ მოაგებინა.

„ამ მომენტისთვის, ვფიქრობ, რომ ეს ფეხბურთელები ძველებზე უკეთეს ფორმაში არიან“ — განაცხადა ვან ბასტენმა.

ნაკრებში აგრეთვე გამოძახებულია დირკ კუიტი (ფეიენოორდი), იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (პსვ), რობინ ვან პერსი (არსენალი) და არიენ რობენი (ჩელსი).

რაც შეეხება ჰოლანდიელთა დღევანდელ მეტოქე ირლანდიას, მასპინძლებს ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავთ: რობი კინი, დემიენ დაფი, რიჩარდ დინი, იან ჰარტი, მეკარე შეი გივენი და ერთ-ერთი უნიჭიერესი მოთამაშე სტივენ აირლენდი.

„ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ ამდენი ფეხბურთელის ტრავმის გამო. ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე გვაკლია, არადა ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლი კარს მოგვადგა და სწორედ ამ მატჩში მსურდა ფეხბურთელთა საქმეში ნახვა“ — დაიჩივლა ირლანდიელთა მწვრთნელმა.

გიორგი დარჯანია

სტივ მაკლარენი

ჰარგრივსმა თავი ცას მიაბჯინა

ინგლისი — საბერძნეთი

დღეს, საბერძნეთის ნაკრებთან ამხანაგური თამაშით ინგლისელები წარუმატებლობის და დევიდ ბექემის ეპოქას ემშვიდობებიან — აი, ასეთ სიტყვებს გადავაწყდით ერთი ინგლისელი ჟურნალისტის წერილში. იმავე წერილში წერია, რომ სვენ-გორან ერიკსონის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატიდან იმდენად უსახურად გამოვარდა, რომ ვერავინ გაიგო მისი ნამდვილი შესაძლებლობები, ახლა კი ერიკსონი სტივ მაკლარენმა შეცვალა და... ახალმა მწვრთნელმა უკვე შეცვალა კიდეც ბევრი რამ, უპირველეს ყოვლისა კი თილისმა-კაპიტანი ბექემი.

კიდევ, თვალში საცემი ის გახლავთ, რომ ნაკრებში გამოჩნდნენ ერიკსონის დაწუნებული ჯერმენ დეფო და დარენ ბენტი, რომელთაც შვედმა შეუმოწმებელი თეო უილკოტი ამჯობინა, ხოლო ამაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი თვით ტერი ვენეიბლზის დაბრუნებაა — ვენეიბლზი, რომელიც მაკლარენის ასისტენტობას გასწევს, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე თავად წვრთნიდა ინგლისის ნაკრებს.

სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ სვენ-გორან ერიკსონის რჩეული 23 ფეხბურთელიდან მაკლარენს მხოლოდ 14 ჰყავს საბერძნეთთან სათამაშოდ დაბარებული.

როგორც ჩანს, საგანგებო ადგილს დაიკავებს მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსი, რომელიც ერიკსონის ხელში მეტწილად სათადარიგო გახლდათ და მოედანზე, თან სხვადასხვა პოზიციაზე, ბოლოსღა შედიოდა. მაკლარენთან ის, წესითა და რიგით ძირითადი შემადგენლობის მუდმივი წევრი უნდა გახდეს.

„ახალი მწვრთნელის მოსვლასთან ერთად ბევრი რამ შეიცვალა — ამბობს 2000 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული — ვფიქრობ, მწვრთნელის ასისტენტს დროთა განმავლობაში ფეხბურთელებთან, თვით მწვრთნელზე მჭიდრო ურთიერთობები უყალიბდება და მგონი მაკლარენსაც სწორედ ეს მოუვიდა. მან ჩვენი ძლიერი და სუსტი მხარეები საუცხოოდ იცის და ამიტომ მისი მწვრთნელად დანიშვნა ძალიან სწორ ნაბიჯად მიმაჩნია. ფანები კი ხედავენ, რომ ჩვენს ნაკრებს გაცილებით მეტი შეუძლია და შედეგებსაც შესაბამისად ელიან. ჩვენი ზედა ზღვარი ცა არის, რადგან გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც რაგინდარა დონეზე ითამაშებენ“.

როგორც „სარბიელის“ მკითხველისთვისაა ცნობილი, ნაკრების კაპიტნად ახალმა მწვრთნელმა „ჩელსის“ კაპიტანი ჯონ ტერი დანიშნა, ხოლო თუ რაიმე მიზეზის გამო ის არ იქნება, სამკლაურს სტივენ ჯერარდი გაიკეთებს.

სხვათა შორის, მიმომხილველები წერენ, რომ ამ შეხვედრისთვის დევიდ ბექემის არგამოძახება უბრალო საქმე არ არის. აქ, აქცენტი ტაქტიკურ მხარეზე კეთდება. კერძოდ, ბექემს, ფლანგიდან შუისკენ შესვლის ტენდენცია აქვს, მაკლარენს კი უნდა, რომ მისმა გუნდმა ფრთები მოედნის მთელ სიგრძეზე გამოიყენოს.

დებიუტანტი კი „ვესტ ჰემის“ 22 წლის თავდამსხმელი დინ ეშტონი გახლავთ, რომელიც ამბობს, რომ კლუბში 40 წლის ტედი შერინგემს უსმენს და უჯერებს.

„საკუთარი ძალებისა მწამს. დარწმუნებული ვარ, რომ ნაკრებში თამაშს შევძლებ. თანაც, ნაკრების ყველა ფორვარდისგან განსხვავებული სტილი მაქვს. ძველებურ ცენტრფორვადს ვთამაშობ“ — უთხრა მან ჟურნალისტებს.

ბაბუნა კედია

ლიოვის შვედური დასაწყისი

გერმანია — შვედეთი

გერმანიის ნაკრების მწვრთნელ იოახიმ ლიოვის დებიუტი დღეს, შვედეთთან მატჩში შედგება. თამაში გელზენკირხენში გაიმართება.

ხუთი კვირის წინ გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოთი ხარობდა, რომელიც იურგენ კლინსმანის ხელქვეით მოიგეს, მაგრამ კლინსმანი წავიდა და გუნდი მის თანაშემწე იოახიმ ლიოვს ჩააბარეს.

ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის დაწყებამდე შვედეთთან მატჩი ერთადერთი მოსამზადებელია ლიოვისთვის, რომელსაც ადრე „შტუტგარტსა“ და ვენის „აუსტრიაში“ უმუშავია.

შესარჩევ ციკლს გერმანია 2 სექტემბერს შტუტგარტში, ირლანდიასთან შეხვედრით დაიწყებს.

გერმანია ევროპის წინა ორ ჩემპიონატზე (2000-სა და 2004-ში) ჯგუფიდან ვერ გავიდა, თან ერთი მატჩიც ვერ მოიგო, მაგრამ მწვრთნელი იმედიანადაა: „მსოფლიო ჩემპიონატი ვერ მოვიგეთ, ამიტომ ყველანაირად ვეცდებით, რომ ევრო 2008-დან ოქრო გერმანიაში ჩავიტანოთ. ამ ახალგაზრდა გუნდს შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯერ არ გამოუვლენია“.

ლიოვი შვედეთთან ამხანაგურ მატჩში რამდენიმე ტრავმირებული ფეხბურთელს ვერ დაიხმარს. კაპიტანი მიხაელ ბალაკი გასულ კვირას, „ჩელსი“ — „ლივერპულის“ მატჩში დაშავდა, მაგრამ ირლანდიასთან თამაშისთვის, ალბათ, მომჯობინდება. „ვიმედოვნებ, რომ ბალაკი საირლანდიოდ მზად იქნება. ვფიქრობ, მისი ტრავმა მსუბუქია და უკვე ამ კვირის ბოლოს შეძლებს თამაშს პრემიერლიგაში“ განაცხადა მწვრთნელმა.

„დორტმუნდის“ ფეხბურთელები — კრისტოფ მეცელდერი და სებასტიან კელიც დაშავებულნი არიან და დღეს გუნდს დააკლდებიან.

ლიოვისთვის კარგი ამბავი ისაა, რომ მიროსლავ კლოზე და ლუკაშ პოდოლსკი ითამაშებენ.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე გერმანიამ შვედეთს მერვედფინალში 2:0 მოუგო.

ირაკლი ნინიძე

მიხაელ ბალაკი

ბედზე გამარჯვება

ბარსას მაისურით

კატალონიის დედაქალაქი ლა კორუნიასავით დიდი სიხარულით არ შემხვედრია. კლუბის წარმომადგენლებთან ერთად „ბარსას“ სამედიცინო ცენტრს მივაკითხე და შემოწმება გავიარე. იქ უამრავი ჟურნალისტი მელოდებოდა. თუმცა სამედიცინო შემოწმებაზე ისინი არ დაუშვეს.

კარგა ხანი დამჭირდა, თავი ბარსელონელად რომ მეგრძნო. კონტრაქტზე ხელი ახალი მოწერილი მქონდა, როდესაც მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა „გამპერის თასზე“ თამაში მთხოვა. ვაღიარებ, არც ფიზიკურად და არც მორალურად მოედანზე გასასვლელად მზად არ ვიყავი. თანაც ერთ-ერთი გალისიური გაზეთი ძალიან ავად მეხუმრა (თუ შეიძლება, ამას ხუმრობა დავარქვათ), გაზეთში წინა სეზონის „დეპორტივოს“ გუნდური ფოტო დაიბეჭდა, სადაც მე... „ბარსელონას“ ფორმაში გამოწყობილი ვიდექი! არ ვიცი, ეს ფოტომონტაჟი რანაირად გადავიტანე. სადღაც 2 თვის განმავლობაში ბარსელონაში აჩრდილივით ვცხოვრობდი, თითქოს უცხო სხეულში ჩამასახლეს.

ახალ კლუბს იმის დროც კი არ ჰქონდა, რივალდოსთვის ოფიციალური ფორმა რომ შეეკვეთა. თერთმეტნომრიანი მაისურა მომცეს, რომელზეც ნომერი და გვარი უფრო პატარა ასოებით ეწერა, ვიდრე დანარჩენი მოთამაშეების ფორმაზე. „გამპერის თასზე“ „სამპდორიასთან“ 45 წუთი ვითამაშე, პენალტიც გავიტანე, თუმცა კარგა შორს ვიყავი იმ დონისგან, რასაც „ბარსას“ ფორვარდი უნდა აკმაყოფილებდეს. ბავშვივით შეცდომებს ვუშვებდი, როცა თამაშის საკუთარ თავზე აღება იყო საჭირო, პასს ვაძლევდი... არ ვიცოდი, სად გავქცეულიყავი, რა პოზიცია დამეკავებინა. კიდევ კარგი, „კამპ ნოუს“ გულშემატკივრები მოწყალე ადამიანები გამოდგნენ და დაბნეული უცხო კაცი ჯერ-ერთ თამაშში მიწასთან არ გაუსწორებიათ...

ინტეგრაციის პროცესი ნელა მიდიოდა. ხან კარგად ვთამაშობდი, ხან ცუდად და სულ პოლემიკის ცენტრში ვიყავი მოქცეული. თუმცა ვთვლი, როგორც ფეხბურთელი განვითარებისკენ მივისწრაფოდი — აბა, რით ავხსნათ შემდგომ წლებში მარტო ევროპამ კი არა, მთელმა მსოფლიომ რომ დამაფასა? უფროსობასთან კი დაძაბული ურთიერთობა მქონდა. სამი წელიწადი ვიყავი „ბარსელონაში“ ნუნიესის პრეზიდენტობის და ვან გაალის მწვრთნელობის დროს და მთელი ეს პერიოდი უფრო ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებაში გავატარე, ვიდრე ურთიერთგაგებაში. ეს, როგორც ცნობილია, ფეხბურთელის პროდუქტულობას ხელს არამც და არამც არ უწყობს. მეტსაც გეტყვით — „კამპ ნოუზე“ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, კოლექტიურობას და ბარსელონიზმს ინტრიგები სჯობნიდნენ.

განხეთქილება ვან გაალთან

პრეზიდენტთან ფინანსებში საჭირო დისტანციას ვიცავდი, ვან გაალთან კი წმინდა საფეხბურთო საკითხებზე ვერ შევთანხმდით. „ბარსაში“ მისვლის პირველი დღიდანვე მივხვდი, რომ მე და ლუის ვან გაალი ფეხბურთს აბსოლუტურად განსხვავებული თვალით ვუყურებდით. ამას ტრიბუნაზე მყოფი გულშემატკივრებიც კი ამჩნევდნენ. ხალხი, რომელიც „ბარსას“ შიდა სამზარეულოში ნაკლებად იყო ჩახედული.

ფეხბურთელს და მწვრთნელს შეიძლება, განსხვავებული აზრი ჰქონდეთ — ამას სრულიად ნორმალურ მოვლენად ვთვლი. მოთამაშეც, რა თქმა უნდა, მწვრთნელის მითითებებს უნდა ასრულებდეს, მაგრამ მე, მობურთალი, რომელსაც მოედანზე უმეტეს შემთხვევაში ლიდერის მოვალეობები ეკისრება, უფლებას ვიტოვებ, მწვრთნელს პროფესიონალურ საკითხებში შევეკამათო.

როდესაც ბავშვობაში თამაშს იწყებ, პრაქტიკულად მაშინვე არკვევ, მოედანზე სამომავლოდ რა პოზიციაზე იქნები. მე თავდასხმის ცენტრი ავირჩიე, მწვრთნელი ლუის ვან გაალი კი რატომღაც დაბეჯითებით ამტკიცებდა, რივალდო მარცხენა ფლანგზე უნდა ვათამაშოო. სამი წელიწადი ერთმანეთს ვასკდებოდით, დათმობა არც ერთს არ გვინდოდა. ვთამაშობდი, გოლები გამქონდა და თავს მაინც უხერხულად ვგრძნობდი — მოედანზე ხშირად ვან გაალთან მეტოქეობაზე უფრო მიფიქრია, ვიდრე მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრაზე...

ბედიც, რა თქმა უნდა, „მეგობრად“ მყავდა. რაღაც ჯანდაბის გამო, როცა ვან გაალმა ორ-სამ თამაშში ცენტრში ბურთაობა დამავალა, სულ კისერი წავიტეხეთ. მერე ხალხი ამბობდა, რა გინდათ ამ მწვრთნელთან, რივალდო მართლა ტიპური ფლანგის მოთამაშე ყოფილაო. ინჩასებს ვერ შეედავებოდი, ცენტრში ჩემი გამოჩენა „ბარსას“ წაგებასთან იყო გაიგივებული.

ჰოლანდიელიც მორიგი მარცხის შემდეგ ჩრდილოელის სიჯიუტით მიმეორებდა — რივალდო, შენ ფლანგებზე თამაშისთვის ხარ დაბადებული, ცენტრში ბურთაობისთვის დისციპლინა გაკლია, ბურთის ართმევას და კონტრშეტევის დროს მეტოქის შევიწროებას ვერ ახერხებ... ანუ, ვან გაალის აზრით, მე დესტრუქციული, ჩამშლელი თამაში არ შემეძლო. კამათი ხშირად ზომიერების ფარგლებს სცილდებოდა და ხანდახან გაბრაზებულ ჰოლანდიელს ისიც კი უთქვამს, „ბარსაში“ შენი დარჩენის აუცილებლობას ვერ ვხედავო. თუმცა მოვლენები საპირისპიროს ამტკიცებდნენ — „კამპ ნოუზე“ ჩემი გადასვლის პირველივე სეზონში „ბარსელონამ“ ქვეყნის ჩემპიონობა და სამეფო თასი მოიგო. ერთხელ, „მალიორკასთან“ თამაშში ლუისმა ადრე შემცვალა. მე კი შხაპის მიღების შემდეგ სკამზე აღარ დავბრუნებულვარ, პირდაპირ სახლში წავედი. „დეპორტივოშიც“ ადრე ასე მოვიქეცი და სწორედ მაშინ დავადგინე — როცა მწვრთნელი მოედნიდან უცნაურად გამოგიყვანს, არავის არ უნდა დაემშვიდობო და სახლს უნდა მიაშურო. მეორე დღეს ლუის ვან გაალმა ლუიშ ფიგუს უთხრა, რივალდოს პორტუგალიურად ჩემი ბრძანება გადაუთარგმნე, სხვა დროს ასე არ მომექცესო.

ფიგუ პორტუგალიურად მეჭიკჭიკა, თუმცა მწვრთნელის დიქტატორული ბრძანებები გულთან არ მიმიტანია. სამაგიეროდ, არც ვან გაალმა მიიტანა გულთან ის ამბავი, რომ ნებისმიერი მატჩის ბედის გადაწყვეტა შემეძლო. ოღონდ ჩემთვის მოსახერხებელ პოზიციაზე თამაშის უფლება მოეცათ.

„სამი ფორვარდიდან „ნედლი“ არც ერთი არ ვართ, ყველა გუნდის დაცვას გავარღვევთ, თუ ჩვენს ფანტაზიას და პროფესიონალიზმს მიენდობით“ — ვეუბნებოდი ლუის ვან გაალს. ის ყურადღებით მისმენდა და... მხიარულად იცინოდა...

გაგრძელება იქნება

რობინიო ბარსას: თავში არ აგიფარდეთ

რობინიოს რევანშის სურვილი აქვს. ბრაზილიელმა იცის, „რეალში“ მისი პირველი სეზონი საუკეთესო რომ არ ყოფილა და ყველაფრის შეცვლა უნდა. ფეხბურთელს კაპელოსთან მუშაობის სირთულეც კარგად მოეხსენება, თუმცა მაინც წარმატებისა სჯერა. „რეალის“ მარადიულ მეტოქე „ბარსას“ კი ურჩევს, წინა სეზონის ჯილდოებმა არ „გაათამამოს“. რობინიოს ესპანური „მარკას“ კორესპონდენტი გაესაუბრა

— ევროპულ ფეხბურთთან შეგუება ძალიან გაგიჭირდათ?

— დიახ. ახლა უკვე ვიცი, აქაურები რანაირად ბურთაობენ და იმედია, ყველაფერი შარშანდელზე უფრო კარგად იქნება. ევროპული ფეხბურთი უფრო მეტ დატვირთვას მოითხოვს, მაგრამ საჭირო გამოცდილება უკვე მივიღე და მაყურებელიც, ადრინდელთან შედარებით, სტაბილურ რობინიოს ნახავს.

— თქვენი თამაშის სტილი ევროპულ ფეხბურთში ტრიუმფისთვის ხელს შეგიწყობთ?

— ვფიქრობ, რომ კი. აი, ნახავთ, 2006-07-ის სეზონში ყველაფერი როგორ შეიცვლება. „რეალი“ ჯილდოებს მოიგებს, რობინიო კი უკეთ ითამაშებს.

— კასანო, რაული, ბაპტისტა, რონალდო, ვან ნისტელროი, რობინიო — „ბერნაბეუზე“ დიდი კონკურენცია გექნებათ...

— გეთანხმებით, თუმცა მე მაინც ველი, რომ მწვრთნელი ძირითადში დამაყენებს.

— სეზონათშორისის მატჩებისას „რეალში“ გადამწყვეტ როლს არ ასრულებთ...

— არა უშავს. სეზონი საკმაო ხანს გარძელდება და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თუ სათადარიგოებში ვიქნები, ვეცდები, თანაგუნდელები გავამხნევო. ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელისთვის სათადარიგოებში ყოფნა დაბრკოლება არ არის, ნებისმიერ დროს მოედანზე შესასვლელად მზად უნდა იყო.

— ბრაზილიურ „სანტოსში“ თამაშისას იქაური გულშემატკივრები გაღმერთებდნენ. „რეალის“ ინჩადამ კი ჯერ კიდევ ვერ ნახა ნამდვილი რობინიო. ეს ადაპტაციას უკავშირდება?

— როცა გუნდი კარგად თამაშობს, ცალკეული ფეხბურთელებიც თავიანთ ნიჭს კარგად ამჟღავნებენ. „რეალს“ შარშან პრობლემები ჰქონდა. მეც მოედანზე მთლიანად დახარჯვას ვერ ვახერხებდი.

— დარწმუნებული ხართ, რომ წელს „რეალში“ წარმატებებს მიაღწევთ?

— რასაკვირველია. ამაში ეჭვიც არ მეპარება. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ჯერ „რეალს“ უნდა დაუბრუნდეს გამარჯვება. თუ „რეალი“ კარგად იქნება, პრობლემები არც მე შემაწუხებს.

— „ბარსელონასი“ არ გეშინიათ?

— არანაირად. მართალია, „ბარსამ“ წინა სეზონში კარგად ითამაშა, მაგრამ ახლა უკვე სხვა დროა. კატალონიელებს ვურჩევ, ძველმა ჯილდოებმა არ „გაათამამონ“.

სარგებელი ᲓᲐ ᲙᲠᲝᲙᲘ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		19 აგვისტო						
15:45	1	შეფილდი-ლივერპული	6.00	3.60	1.55	2.25	1.23	1.08
18:00	2	არსენალი-ასტონ ვილა	1.25	4.70	12.00	1.00	1.13	3.37
20:15	3	ბოლტონი-ტოტენჰემი	2.65	3.10	2.55	1.42	1.29	1.39
18:00	4	ევერტონი-უოტფორდი	1.65	3.40	5.30	1.11	1.25	2.07
18:00	6	ნიუკასლი-უიგანი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98
18:00	7	პორტსმუთი-ბლეკბერნი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
18:00	8	რედინგი-მიდლსბრო	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
18:00	9	ვესტ ჰემი-ჩარლტონი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
		20 აგვისტო						
16:30	5	მანჩესტერი-ფულემი	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
19:00	10	ჩელსი-სიტი	1.20	5.60	13.00	1.00	1.09	3.91
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		18 აგვისტო						
22:45	11	ქოვენთრი-ლესტერი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
		19 აგვისტო						
18:00	12	ბარნსლი-საუთჰემპტონი	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
18:00	13	ბირმინგემი-კრისტალ პალასი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	14	ბარნლი-ვულვერჰემპტონი	2.30	3.10	2.85	1.32	1.27	1.48
18:00	15	დერბი-ნორვიჩი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	16	იფსვიჩი-ჰალი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74
18:00	17	ლიდსი-კარდიფი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74
18:00	18	ლუტონი-სტოკი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
18:00	19	პლიმუთი-უენსდი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
18:00	20	პრესტონი-ქპრ	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
18:00	21	საუთენდი-სანდერლენდი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
18:00	22	ვესტ ბრომვიჩი-კოლჩესტერი	1.45	3.60	6.50	1.03	1.18	2.31
		ინგლისი. I ლიგა						
		19 აგვისტო						
18:00	23	ბორნმუთი-ჩელტენემი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
18:00	24	ბრენტფორდი-პაღერსფილდი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
18:00	25	ბრისტოლი-ბლეკპული	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
18:00	26	კარლაილი-ლეიტონი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
18:00	27	ქრიუ-ბრედფორდი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
18:00	28	ჯილინგემი-ნორთჰემპტონი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
18:00	29	მილუოლი-ოლდემი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	30	ნოტინგემი-ბრაიტონი	1.65	3.30	4.80	1.10	1.22	1.95
18:00	31	პორტ ვეილი-ჩესტერფილდი	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
18:00	32	როტერჰემი-სკანთორპი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
18:00	33	სუონსი-დონკასტერი	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
18:00	34	ტრანმერი-იოვილი	1.85	3.10	3.90	1.15	1.25	1.72
		ინგლისი. II ლიგა						
		19 აგვისტო						
18:00	35	ბარნეტი-ჰერეფორდი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
18:00	36	ჩესტერი-რექსემი	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
18:00	37	დარლინგტონი-სუინდონი	2.25	3.10	2.85	1.30	1.25	1.48
18:00	38	გრიმსბი-მენსფილდი	2.05	3.10	3.30	1.23	1.26	1.59
18:00	39	ჰარტლპული-ტორკი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
18:00	40	ლინკოლნი-უოლსოლი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	41	დონსი-როუერსი	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
18:00	42	პიტერბრო-მაკლსფილდი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
18:00	43	როჩდეილი-ნოტსი	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
18:00	44	შრიუსბერი-ბოსტონი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	45	სტოკპორტი-აკრინგტონი	2.25	3.10	2.85	1.30	1.25	1.48
18:00	46	უიკომბი-ბერი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		19 აგვისტო						
18:00	71	დანდი იუნ.-დანფერმლაინი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
18:00	72	ფოლკირკი-კილმარნოკი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
18:00	73	ჰიბერნიანი-მოხერუელი	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
18:00	74	რეინჯერსი-ჰართსი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
18:00	75	სტ.მირენი-აბერდინი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		20 აგვისტო						
19:00	76	ინვერნესი-სელტიკი	8.00	4.40	1.35	2.83	1.15	1.03
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		19 აგვისტო						
18:00	77	ერდრი-ქუინი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
18:00	78	დანდი-კლაიდი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
18:00	79	გრეტნა-როსი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
18:00	80	ლივინგსტონი-პარტიკი	1.75	3.40	3.70	1.15	1.18	1.77
18:00	81	სტ.ჯონსტონი-ჰამილტონი	1.75	3.40	3.80	1.15	1.19	1.79
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		19 აგვისტო						
18:00	82	კუდენბითი-ბრეჩინი	1.80	3.40	3.70	1.17	1.21	1.77
18:00	83	ფორფარი-ალოა	2.15	3.30	2.90	1.30	1.23	1.54
18:00	84	მორტონი-ეარი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
18:00	85	პიტერჰედი-რეითი	1.70	3.50	4.20	1.14	1.21	1.90
18:00	86	სტირლინგი-სტრანრარი	2.30	3.30	2.60	1.35	1.22	1.45
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		19 აგვისტო						
18:00	87	ბერიკი-სტენჰაუსმური	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
18:00	88	ისტ ფაიფი-არბროთი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
18:00	89	ისტ სტირლინგი-ალბიონი	2.35	3.30	2.55	1.37	1.22	1.43
18:00	90	მონტროუზი-ელგინი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
18:00	91	ქუინზ პარკი-დამბარტონი	2.70	3.30	2.25	1.48	1.22	1.33
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		18 აგვისტო						
22:30	92	ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი	1.90	3.20	3.85	1.19	1.27	1.74
		19 აგვისტო						
17:30	93	ალემანია-შალკე	3.80	3.40	1.85	1.79	1.24	1.19
17:30	94	კოტბუსი-ჰამბურგი	3.80	3.30	1.90	1.76	1.26	1.20
17:30	95	დორტმუნდი-მაინცი	1.65	3.50	5.00	1.12	1.24	2.05
17:30	96	აინტრახტი-ვოლფსბურგი	2.00	3.30	3.45	1.24	1.26	1.68
17:30	97	ჰერტა-ჰანოვერი	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
17:30	98	ვერდერი-ლევერკუზენი	1.70	3.40	4.80	1.13	1.25	1.99
		20 აგვისტო						
19:00	99	არმინია-შტუტგარტი	2.50	3.20	2.65	1.40	1.28	1.44
19:00	100	ბოხუმი-ბაიერნი	5.00	3.50	1.65	2.05	1.24	1.12
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		18 აგვისტო						
20:00	102	კარლ ცაისი-ბრაუნშვაიგი	2.05	3.10	3.30	1.23	1.26	1.59
20:00	103	ჰანზა-აუე	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
20:00	104	მიუნხენი 1860-ოფენბახი	1.65	3.40	4.80	1.11	1.22	1.99
		20 აგვისტო						
16:00	105	კობლენცი-ფიურტი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
16:00	108	ესენი-ფრაიბურგი	2.70	3.10	2.35	1.44	1.25	1.33
16:00	109	უნტერჰახინგი-დუისბურგი	3.00	3.10	2.20	1.52	1.26	1.28
		21 აგვისტო						
22:15	110	კარლსრუე-კაიზერსლაუტერნი	2.40	3.10	2.70	1.35	1.27	1.44
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		19 აგვისტო						
21:30	130	რიდი-ალტახი	1.80	3.20	4.10	1.15	1.25	1.79
21:30	131	ზალცბურგი-მატერსბურგი	1.35	4.20	7.50	1.02	1.14	2.69
21:30	132	შტურმი-აუსტრია	3.20	3.20	2.05	1.60	1.24	1.24
21:30	133	ტროლი-პაშინგი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		20 აგვისტო						
21:30	129	რაპიდი-გრაცერი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა						
		17 აგვისტო						
21:45	147	იუვენტუსი-კონკორდია	2.35	3.20	2.50	1.35	1.21	1.40

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		19 აგვისტო						
19:15	153	ოსერი-მარსელი	2.30	2.90	3.20	1.28	1.33	1.52
22:00	154	ლე მანი-ვალენსიენსი	1.85	2.90	4.90	1.12	1.34	1.82
22:00	155	ლანსი-ლორიანი	1.70	3.20	5.30	1.11	1.28	1.99
22:00	156	ნანტი-ტრუა	1.70	3.20	5.30	1.11	1.28	1.99
22:00	157	პსჟ-ლილი	2.40	2.90	2.85	1.31	1.30	1.43
22:00	158	რენი-მონაკო	2.35	2.90	3.00	1.29	1.31	1.47
22:00	159	სედანი-სოშო	2.40	2.90	3.00	1.31	1.33	1.47
22:00	160	სტ.ეტიენი-ნანსი	2.10	2.90	3.70	1.21	1.33	1.62
		20 აგვისტო						
20:00	161	ტულუზი-ნიცა	2.15	2.90	3.50	1.23	1.33	1.58
23:00	162	ბორდო-ლიონი	3.00	2.90	2.40	1.47	1.33	1.31
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		18 აგვისტო						
22:15	183	სპარტა-ვიტესი	2.45	3.10	2.60	1.36	1.26	1.41
		19 აგვისტო						
21:30	184	დენ ჰაააგი-ჰერენვენი	3.00	3.10	2.15	1.52	1.25	1.26
21:30	185	ტილბურგი-უტრეხტი	2.70	3.00	2.40	1.42	1.27	1.33
22:00	186	ექსელსიორი-როდა	2.65	3.10	2.40	1.42	1.25	1.35
22:00	188	ალკმაარი-ბრედა	1.35	3.80	8.50	1.00	1.16	2.62
		20 აგვისტო						
16:30	187	აიაქსი-ვალვაიკი	1.30	4.10	8.50	1.00	1.12	2.76
16:30	189	გრონინგენი-ფეიენოორდი	3.20	3.00	2.10	1.54	1.26	1.23
16:30	190	ჰერაკლესი-ტვენტე	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
16:30	191	პსვ-ნაიმეგენი	1.25	5.00	10.00	1.00	1.11	3.33
		საბერძნეთი						
		19 აგვისტო						
22:00	212	აეკ-პაოკ	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
20:00	219	ოლიმპიაკოსი-ქსანთი	1.25	4.50	9.50	1.00	1.10	3.05
		20 აგვისტო						
20:00	213	ერგოტელისი-იონიკოსი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
20:00	214	ატრომიტოსი-ოფი	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1.92
20:00	215	ეგალეო-პანათინაიკოსი	4.60	3.30	1.65	1.92	1.21	1.10
22:00	216	ირაკლისი-პანიონიოსი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
20:00	217	კერკირა-კალამარია	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
22:00	218	ოლიმპია-არისი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
		თურქეთი						
		16 აგვისტო						
21:00	452	ანკარა-მანისა	2.30	3.30	2.70	1.35	1.24	1.48
		დანია. სუპერლიგა						
		19 აგვისტო						
19:00	266	ვეილე-კოპენჰაგენი	8.00	4.20	1.35	2.75	1.15	1.02
		20 აგვისტო						
17:00	267	ოლბორგი-რანდერსი	1.45	3.80	6.50	1.04	1.18	2.39
17:00	268	ესბიერგი-მიდტიულანდი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
17:00	269	ოდენსე-ნორდსიელანდი	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
17:00	270	სილკებორგი-ჰორსენსი	1.95	3.20	3.60	1.21	1.26	1.69
20:00	271	ბრიონდბიუ-ვიბორგი	1.35	4.20	8.50	1.02	1.16	2.81
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		20 აგვისტო						
20:00	281	ალესუნდი-მოსი	1.45	3.90	6.50	1.05	1.18	2.43
20:00	282	ბოდიო გლიმტი-ჰიონეფოსი	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
20:00	284	ჰაუგესუნდი-სონგდალი	2.50	3.30	2.55	1.42	1.26	1.43
20:00	285	კონგსვინგერი-ჰიოდი	1.50	3.90	6.00	1.08	1.20	2.36
20:00	286	პორს გრენლანდი-ლოვ ჰამი	1.85	3.70	3.40	1.23	1.19	1.77
20:00	287	სტრიომსგოდსეტი-მანგლერუდი	1.25	5.10	8.50	1.00	1.08	3.18
20:00	288	ტრომსდალენი-სპარტა ს	2.10	3.70	2.75	1.33	1.19	1.57
		შვედეთი. ალსვენსკა						
		19 აგვისტო						
18:00	289	იურგორდენი-კალმარი	1.70	3.30	5.00	1.12	1.26	1.98
		20 აგვისტო						
19:00	290	ჰეკენი-მალმიო	3.20	3.30	2.10	1.62	1.26	1.28
		21 აგვისტო						
21:00	291	გეფლე-აიკ	3.10	3.30	2.15	1.59	1.26	1.30
21:00	292	იორგრიტე-გაის	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
		აშშ						
		16 აგვისტო						
23:45	325	კოლამბუსი-სოლტ ლეიკი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
23:45	326	ნიუ იორკი-ვაშინგტონი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
23:45	328	ჩიკაგო-კანზასი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
		ბრაზილია						
		16 აგვისტო						
23:45	354	პონტე პრეტა-ფორტალესა	1.55	3.40	5.20	1.06	1.19	2.05
23:45	355	სანტა კრუსი-გრემიო	2.00	3.20	3.10	1.23	1.21	1.57
23:45	356	ვასკუ და გამა-სან კაეტანო	1.70	3.20	4.30	1.11	1.24	1.85
23:45	357	გოიასი-ბოტაფოგო	1.70	3.20	4.20	1.11	1.21	1.81
23:45	358	ფიგეირენსე-ფლამენგო	1.55	3.40	5.10	1.06	1.18	2.03
23:45	359	ფლუმინენსე-კორინთიანსი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
		აზიის თასი 2007 შესარჩევი მატჩები						
		16 აგვისტო						
13:30	553	ავსტრალია-კუვეიტი	1.15	6.00	12.00	1.00	1.04	4.00
13:30	554	ინდოეთი-ს.არაბეთი	9.00	4.70	1.25	3.08	1.09	1.00
14:20	556	იაპონია-იემენი	1.05	8.50	20.00	1.00	1.00	5.96
16:00	557	ჩინეთი-სინგაპური	1.25	4.70	9.00	1.00	1.09	3.08
18:00	559	უზბეკეთი-ჰონ კონგი	1.08	7.00	16.00	1.00	1.01	4.86
18:30	560	ირანი-სირია	1.06	8.00	20.00	1.00	1.00	5.71
		ფეხბურთი.ეჩ 2008 შესარჩევი მატჩები						
		16 აგვისტო						
20:00	436	ესტონეთი-მაკედონია	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
22:45	437	ბელგია-ყაზახეთი	1.05	7.50	25.00	1.00	1.00	5.76
		ამხანაგური მატჩები						
		16 აგვისტო						
20:00	418	ფინეთი-ჩრ.ირლანდია	1.55	3.30	5.50	1.05	1.20	2.06
20:00	419	რუსეთი-ლატვია	1.35	3.70	8.00	1.00	1.15	2.52
21:00	420	რუმინეთი-კვიპროსი	1.20	5.00	9.50	1.00	1.06	3.27
22:00	421	ეგვიპტე-ურუგვაი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
22:00	422	ლუქსემბურგი-თურქეთი	20.00	7.00	1.05	5.18	1.00	1.00
22:00	423	დანია-პოლონეთი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
22:00	424	ნორვეგია-ბრაზილია	3.80	3.20	1.80	1.73	1.22	1.15
22:00	425	ჩეხეთი-სერბეთი	1.60	3.10	5.30	1.05	1.22	1.95
22:00	426	ლიხტენშტეინი-შვეიცარია	12.00	6.00	1.12	4.00	1.02	1.00
22:30	427	ავსტრია-უნგრეთი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
22:45	428	გერმანია-შვედეთი	1.60	3.10	5.50	1.05	1.23	1.98
22:45	429	იტალია-ხორვატია	1.80	3.00	4.20	1.12	1.25	1.75
23:00	430	ბოსნია -საფრანგეთი	4.60	3.20	1.65	1.88	1.21	1.08
23:00	431	ინგლისი-საბერძნეთი	1.40	3.50	7.30	1.00	1.17	2.36
23:45	432	ჩილე-კოლუმბია	1.70	3.10	4.50	1.09	1.23	1.83
22:30	433	ირლანდია-ჰოლანდია	3.00	3.00	2.20	1.50	1.26	1.26
21:45	435	ბელარუსი-ანდორა	1.10	6.50	15.00	1.00	1.02	4.53
		ეჩ. შესარჩევი მატჩები(21)						
		16 აგვისტო						
19:00	440	ავსტრია(21)-ისლანდია(21)	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
19:00	441	ბელარუსი(21)-კვიპროსი(21)	1.30	4.50	7.50	1.00	1.10	2.81
19:00	442	ბოსნია(21)-სომხეთი(21)	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
19:00	443	სლოვენია(21)-შოტლანდია(21)	1.80	3.30	3.70	1.16	1.21	1.74
19:30	444	პოლონეთი(21)-ლატვია(21)	1.40	3.70	6.80	1.01	1.16	2.39
20:00	445	უნგრეთი(21)-ფინეთი(21)	1.70	3.30	4.30	1.12	1.21	1.86
19:00	446	რუმინეთი(21)-ჩრ.ირლანდია(21)	1.30	4.50	7.50	1.00	1.10	2.81
20:30	447	შვედეთ(21)-მაკედონია(21)	1.20	5.10	10.00	1.00	1.07	3.37
21:00	448	საბერძნეთი(21)-ირლანდია(21)	1.75	3.10	3.90	1.11	1.20	1.72
21:00	449	ისრაელი(21)-უელსი(21) ნ	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
21:00	450	სლოვაკეთი(21)-ალბანეთი(21)	1.25	4.60	8.00	1.00	1.08	2.92
21:00	451	უკრაინა(21)-ბულგარეთი(21)	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
		შოტლანდია. თასი						
		16 აგვისტო						
22:30	400	ერდრი-გრეტნა	4.30	3.60	1.60	1.95	1.16	1.10
22:30	405	ისტ ფაიფი-როსი	4.50	3.70	1.60	2.03	1.18	1.11
22:30	407	ელგინი-სტენჰაუზმური	3.80	3.60	1.72	1.84	1.18	1.16
22:30	410	მონტროუზი-პიტერჰედი	4.50	3.70	1.60	2.03	1.18	1.11
		ესპანეთი. სუპერთასი						
		17 აგვისტო						
23:45	388	ესპანიოლი-ბარსელონა	5.00	3.30	1.65	1.98	1.24	1.10
		ნორვეგია. თასი						
		19 აგვისტო						
18:00	393	ვოლერენგა-ფრედრიკსტადი	1.55	3.50	5.80	1.07	1.22	2.18
		20 აგვისტო						
18:00	390	ფოლო-სანდეფიორდი	7.00	4.30	1.35	2.66	1.13	1.02
21:00	391	სტარტი-ლილესტრიომი	2.45	3.20	2.65	1.38	1.27	1.44
21:00	392	ვიკინგი-რუსენბორგი	3.10	3.30	2.10	1.59	1.25	1.28
		შვედეთი. თასი						
		19 აგვისტო						
18:00	394	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	2.15	3.40	2.90	1.31	1.23	1.56
		ლიბერტადორესის თასი						
		16 აგვისტო						
23:45	438	ინტერნაციონალი-სან პაულუ	2.30	3.10	2.80	1.32	1.26	1.47

სამი დღე მსოფლიოს ჩემპიონატამდე

მინუს არენასი

ჯილბერტ არენასი ამერიკისთვის ვეღარ იბრძოლებს

ღლეებს ითვლის კალათბურთის მოყვარულთა მრავალმილიონიანი არმია, მსოფლიოს ჩემპიონატი კარსაა მომდგარი და სამუნდიალო სამზადისიც დასასრულს უახლოვდება. მონაწილე გუნდებმა ძირითადად მოილიეს სპარინგ-შეხვედრები. ზოგმა ნაკრებმა უკვე დააკომპლექტა 12-კაციანი შემადგენლობა, სხვებიც ერთ-ორ დღეში გაგზავნიან საბოლოო განაცხადს.

სახეს იძენს მთავარი ფავორიტი აშშ-ს ნაკრებიც, რომლის გაფართოებული შემადგენლობა 13 მოთამაშემდე შემცირდა და ამერიკელთა სამწვრთნელო შტაბი 18 აგვისტოს დაასახელებს მსოფლიოს პირველობის გარეთ დარჩენილი უიღბლოს გვარს. ამჟამად სამხრეთ კორეაში მყოფ ამერიკელებს ერთი კაცი იძულებით გამოაკლდათ — „ვაშინგტონ ვიზარდსის“ 191-სანტიმეტრიან გამთამაშებელ ჯილბერტ არენასს ლიტვასთან 13 აგვისტოს ამხანაგურ მატჩში საზარდული გაეჭიმა და ექიმებთან ორდღიანი კონსულტანტ-დიაგნოზირების შემდეგ გადაწყდა, რომ შინ, შტატებში გაემგზავრება.

„ჯილბერტი ძალიან იმედგაცრუებულია — ამბობს აშშ-ს ნაკრების მთავარი მენეჯერი ჯერი კოლანჯელო — ძალიან უიღბლო ვითარებაში აღმოჩნდა. მას გუნდთან ერთად ყოფნა სურდა, მაგრამ ახლა იძულებულია, შინ გაფრინდეს და თავს მიხედოს, რათა ნბა-ს სეზონის დაწყებას ჯანმრთელი შეხვდეს“.

ჯილბერტ არენასი იანკთა რაზმის ძველი მოლაშქრეა, ლარი ბრაუნისეულ გუნდს 2004 წლის ათენის ოლიმპიადაზე რეზერვისტად ახლდა და ახლანდელ თავკაცს მაიკ კრეიჟევსკის იმედი ჰქონდა, რომ მისი გამოცდილება გამოადგებოდა.

აშშ-ს ნაკრები (მინუს ერთი): კარმელო ენტონი, შეინ ბეტიე, კრის ბოში, ბრიუს ბოუენი, ელტონ ბრენდი, კირკ ჰაინრიხი, დუაიტ ჰოვარდი, ლებრონ ჯეიმსი, ანთაუნ ჯემისონი, ჯო ჯონსონი, ბრედ მილერი, კრის პოლი, დუეინ ვეიდი.

კოტე ყორღია

პუერტორიკოელთა სამწვრთნელო შტაბს ხულიო ტორო (მარცხნივ) თავკაცობს

უთილისმო კუნძულელები

12-კაციანი საბოლოო შემადგენლობა გამოაცხადა პუერტო რიკოს ნაკრების თავკაცმა ხულიო ტორომ. ამ ეგზოტიკურ ქვეყანას შოუ-ბიზნესის თეძომოქანავე ვარსკვლავების (ჯენიფერ ლოპესი, რიკი მარტინი) გარდა კალათბურთელებიც ეზრდება სან ხუანის ჰალმა-ქალაქში. დიდ ტურნირებზე სულ ხვდებოდნენ, მაგრამ ახლა იაპონიაში არ ეყოლებათ გუნდის თილისმად ქცეული ბებერი ცენტრი ხორხე ორტისი, რომელიც ორმოცს გადაცილებულიც უხვეჭდა ქულა-მოხსნებს. თილისმასაც უცვდება სახსრები და უწყდება მყესები.

პუერტო რიკო მაინც ყოჩაღად დგას, ამ ორიოდ კვირის წინ კარიბის ზღვის აუზის ქვეყანათა თამაშები მოიგო. „ბოლო ხანებში ძალიან ბევრი თამაში მოგვიხდა და ბიჭები ძალიან დაღლილები არიან — ამბობს ტორო — მაგრამ დაღლილებიც ხომ იმიტომ არიან, რომ საუკეთესო ფორმაში ყოფნას ესწრაფიან.“

გუნდის გაუსაჩივრებელი ლიდერია ნბა-ში კარგა ხნის წინ მყარად ფეხმოკიდებული გამთამაშებელი კარლოს არროიო. მეორე ვარსკვლავად ჩაითვლება ნბა-ში ფეხვერმოკიდებული ზორბა ცენტრი დანიელ სანტიაგო, სხვანი კი ძირითადად ეროვნულ პირველობაში მოთამაშე ყოჩაღი ბიჭები არიან.

ალმაცვალი გუნდი

ჯიდევ მოვუმატებთო, იმუქრება ჯარლოს ხიმენესი

„ჩვენ უკეთესადაც შეგვიძლია თამაში!“ აი, ასეთ განცხადებას აკეთებს ესპანეთის ნაკრების კაპიტანი კარლოს ხიმენესი. პირინეელები ახლა უკვე ლამის მთავარ ფავორიტებად ითვლებიან მუნდიალზე. ამერიკელთა გარშემო არ ატეხილა ამხელა აჟიოტაჟი, რამხელაც ესპანელთა „კარგი ბიჭობის“ გამო. მართლაც, რრცა გუნდი იგებს, თან გვარიანი უპირატესობით, ყველას სურს, მასში მომავალი ჩემპიონის ამოცნობა. ხიმენესს, ნავაროს, გასოლს და მათ კომპანიას კი სპარინგ-მატჩები ჯერ არ წაუგიათ, მოგება კი ამ მოკლე ხანში უკვე ცხრა შეუგროვდათ — ამასთან ორი ოლიმპიურ ჩემპიონ არგენტინასთან, ერთი ბოლო ორი მუნდიალის მომგებ სერბეთთან და არც სხვა დამარცხებულები იყვნენ ხელწამოსაკრავები. მოკლედ, ესპანელები ჯერჯერობით ყველას თელავენ.

მათი კაპიტანი კი ამბობს, კიდევ უკეთესად შეგვიძლია თამაშიო. „ჩვენ კარგად დაბალანსებული გუნდი ვართ — ამბობს ხიმენესი — დაცვაშიც და შეტევაშიც ძალიან შეთანხმებულად და კოორდინირებულად ვთამაშობთ და ამას ჩვენი შედეგებიც ადასტურებს. ამასთან კიდევ გვაქვს რამდენიმე დღე სხვადასხვა სათამაშო კომპონენტის დასახვეწად. ამას ყველა ხედავს, რომ აღმავალი გუნდი გვყავს და საფუძველიც გვაქვს იმის სათქმელად, რომ მომატება შეგვიძლია.“

მოკლედ, მუდამ ფავორიტთა სიაში შეყვანილი, მაგრამ ძალიან დიდი ხანია, ვერაფრის მომგები ესპანელები კბილებს ილესავენ. თანაც, კენჭისყრამ ესპანელებს ჯგუფიც იოლი შეახვედრა, საწყის ეტაპზე მხოლოდ გერმანიას თუ მიიღებენ ტოლ-სწორ მეტოქედ, პანამას, ანგოლას, ახალ ზელანდიასა და მასპინძელ, თუმც მაინც სუსტ იაპონიას კი წესით და გათვლით, იოლად უნდა გაუმკლავდნენ.

კოტე ყორღია

კარლოს ხიმენესის (მარჯვნივ) ესპანეთი ბურთს იოლად არავის დაუთმობს

იაპონია ომისთვის ემზადება

ჩვენი ხმალი და თქვენი კისერი

ამდენს ვწერთ მსოფლიოს ჩემპიონატზე, მაგრამ ჯერ არაფერი გვითქვამს მასპინძელ იაპონიაზე. ნუ გაგიკვირდებათ და, სათქმელი მართლაც ბევრი არაფერია. როგორც წესი, ამა თუ იმ სპორტის სახეობის მსოფლიო პირველობას ის ქვეყანა მასპინძლობს, სადაც ეს სახეობა პოპულარული, დაფასებული და გამარჯვებულია. ვერ ვიტყვით, რომ კალათბურთს ჩვენს პლანეტაზე 5-6 ქვეყანა თამაშობს კარგადო. ამ ბურთაობის მოყვარე ერთა რიცხვი ათჯერ და უფრო მეტია, მაგრამ მათ შორის ეს ჩვენი იაპონია არც ისე წინა რიგებში იწონებს თავს. მაგალითად, აზიის თამაშებზე იაპონელებს მეხუთე ადგილი შეხვდათ, მაშინ როდესაც იქ მესამე ადგილი დაიკავა სპარსეთის ყურის ერთი ციცქნა არაბულმა ქვეყანა ყატარმა, რომლის მოსახლეობა 300 ათას კაცს არ აღემატება.

იაპონიას მუნდიალზე ადგილი მასპინძელი ქვეყნის სტატუსით შეხვდა და ახლა მერამდენე ადგილს დაიჭერს 24 გუნდში, ამის გამოცნობას კონფუციც ვერ შეძლებდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო.

იაპონელებს 2003 წლიდან ხორვატი სპეციალისტი ჟელკო პავლიჩევიჩი წვრთნის, რომელიც დიდად კმაყოფილი იქნებოდა, მისი გუნდი ჯგუფური ეტაპიდან რომ გასულიყო. ჯგუფი კი მართლაც უიოლესი შეხვდათ მასპინძლებს, როგორც ყოველთვის ხვდებათ ხოლმე ამა თუ იმ სპორტის სახეობის ამა თუ იმ ტურნირზე — ესპანეთი, გერმანია, ახალი ზელანდია, პანამა და ანგოლა. პირველი სამისა რა მოგახსენოთ და, პავლიჩევიჩი ალბათ ორ უკანასკნელს ამოიღებს მიზანში და მათ ძლევას დაუსახავს შეგირდებს, რაც ალბათ საკმარისი იქნება ექვსგუნდა ჯგუფის ზეოთხეულში მოსახვედრად და მერვედფინალში გასასვლელად.

„ერთს ვიტყვი — ამბობს პავლოვიჩი — ჩვენ არავისთვის არ ვიქნებით იოლი მეტოქე. ბოლომდე ვიბრძოლებთ და გარე საშყაროს ვაჩვენებთ, რომ ბოლო წლებში იაპონიამ საკმაო პროგრესს მიაღწია. საკმაოდ კარგი გუნდი გვეთქმის. ლიდერი და კაპიტანია სატორუ ფურიტა, რომელიც ნამდვილი იაპონური მებრძოლი სულის მატარებელი და განსახიერებაა.“

კოტე ყორღია

ახალი რუსთავი ბაკურიანით იწყებს

ანატოლი ტოლუბაევი ფოტო

რუსთავის „აზოტი“ გუშინ ბაკურიანში გაემგზავრა საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც 10 დღე მოემზადება. ქვემოქართლელებს ბორჯომის ხეობაში მიხეილ ბერუაშვილი მიუძღვება, რადგან რუსთაველთა თავკაცი დავით უსტიაშვილი ახლა ეროვნულ ნაკრებშია დაკავებული. ნაკრებში არიან ასევე „აზოტის“ კალათბურთელებიც — კოტე ტუღუში და ანატოლი ბოისა, ხოლო რაც შეეხება გიორგი მარკოიშვილს, ის ეროვნული გუნდის კანდიდატი იყო და კონკურენციას ვერ გაუძლო. მარკოიშვილი უკვე თავის ახალ გუნდშია, „აზოტის“ სხვა სიახლეებზე კი ქვემოქართლელთა აღმასრულებელი დირექტორი ამირან ხაჩიძე გვესაუბრება

— ბაკურიანში არასრული შემადგენლობით მივდივართ. ეროვნული ნაკრების რამდენიმე კანდიდატი და მთავარი მწვრთნელი გვაკლია. მიუხედავად ამისა, ეს შეკრება ძალიან სასარგებლო იქნება ჩვენი გუნდისთვის, რადგან არაერთი ახალწვეული გვყავს.

— შემადგენლობა საბოლოოდ დააკომპლექტეთ?

— ამ ეტაპისთვის აღარავის დამატებას აღარ ვაპირებთ.

— რა ცვლილებები მოხდა „აზოტში“?

— კოტე ტუღუში და გიორგი მარკოიშვილი რომ „ავიამშენიდან“ გადმოვიყვანეთ, კარგა ხნის ამბავია. თსუ-დან რევაზ დიდია, ვაკო ბეჟანიშვილი და ლაშა კეშელავა დავიმატეთ. დანარჩენები ძველი შემადგენლობიდან არიან: მიხეილ ჭოჭუა, ირაკლი ჯაფარიძე, ლევან ცეკავა, რამაზ გოგობერიშვილი, ანატოლი ბოისა, ჟოლივეტ ტუჯანი, გეგი ლიპარტელიანი და იური დანელიანი. არჩილ ჟღენტმა, ზვიად ბაბიაშვილმა, დავით იმნაძემ და დავით არწივიძემ დაგვტოვეს. თუმც ეს ჩვენი გუნდის საბოლოო სახე არ არის. სეზონი რომ დაიწყება, მერე უკეთ გამოჩნდება სუსტი წერტილები და ვეცდებით, გავძლიერდეთ.

— ლეგიონერებით?

— არც ეგაა გამორიცხული, თუმც ამ თემაზე ახლა საუბრისგან თავს შევიკავებ.

— ბაკურიანის გარდა სხვაგანაც ხომ არ აპირებთ მომზადებას?

— სანამ სეზონი დაიწყება, კიდევ ერთ შეკრებას მოვაწყობთ, მაგრამ სად, ჯერ არ გადაგვწყვეტია — სადმე, საქართველოში წავალთ.

ირაკლი პერტაია

როგორც მიმინოს მწყერზე ...

ქართველებმა ინგლისელები დაჯორტნეს

საქართველო 72:44 ინგლისი

21:12 21:8 12:11 18:13

საქართველო: ძიძიგური (6), ბარბაქაძე (8), ჩაჩიბაია (6), მეტრეველი (13), შენგელია (23 ქულა, 18 მოხსნა), ჯგერენაია (18), შარაბიძე (3), თავართქილაძე (2), კასიტაშვილი, გალდავა, ნანიტაშვილი

რიხით დაიწყეს ქართველმა კადეტებმა ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის მეორე ეტაპიც. ნიკო ჩერქეზიშვილის გუნდმა გუშინ ტალინში ინგლისის ნაკრები გააბითურა და ნახევარფინალში გასვლის რეალური განაცხადი გააკეთა.

ქართველების გუშინდელი მეტოქე რომ დიდი ვერაფერი გუნდი იყო, წინდაწინ ვიცოდით, მაგრამ ჩვენები თუ ასე იოლად იმარჯვებდნენ, ნამდვილად არ ველოდით. ქართველმა 16-წლიანებმა ბრიტანელები თავიდანვე ჩამოიტოვეს და ორიოდ წუთში ათქულიანი უპირატესობა რომ მოიპოვეს, მერე მეტოქე სათოფეზე აღარ გაუკარებიათ.

ჩერქეზიშვილმა წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად თავი ანება ექსპერიმენტებს და თავიდანვე მებრძოლ ხუთეულს უხმო მოედანზე. ლევან შენგელია და ნიკა მეტრეველი შეუჩერებლები იყვნენ და ამ დუეტის დამსახურებაა, ქართველმა სულ მთლად რომ გაილაღეს.

ჩვენები ჰაერშიც ჯაბნიდნენ კუნძულელებს და პარკეტზეც. მიზანი ხომ მიმინოსავით გაესწორებინათ და საბოლოოდ სწორედ ამის ხარჯზე დაჯაბნეს მეტოქე. ინგლისელებმა ქართველებზე მეტი ბურთი კი ესროლეს თამაშიდან, მაგრამ რაოდენობა რომ ხარისხს აღემატებოდეს...

ქართველების თამაშიდან სროლათა 48 პროცენტმა მიაღწია მიზანს, ინგლისელებმა კი ოდენ 23 პროცენტი მოინადირეს. ბრიტანელებმა ჩვენებზე გაცილებით უკეთ ესროლეს საჯარიმოები, მაგრამ ჩერქეზიშვილის ბიჭებს იმდენჯერ მოუწიათ საპენალო სროლების შესრულება, რომ საბოლოოდ მეტოქეზე 8-ით მეტი ერთქულიანი მიითვალეს.

თამაშის ბედი ლამის პირველი ტაიმის დასრულებამდე გადაწყდა, როცა ქართველებმა 40:18 ჩამოიტოვეს მეტოქე. მეორე მეოთხედში ინგლისელებმა კი გაიფართხალეს, მაგრამ ჩამორჩენის შემცირება ვერაფრით მოახერხეს.

ქართველთაგან თავი ლევან შენგელიამ ისახელა, რომელმაც 23 ქულასთან ერთად 18 ფარიდან ასხლეტილი ბურთი მოხსნა. ჩერქეზიშვილის გუნდი დღეს ჩეხეთს ეთამაშება და თუ იმარჯვებს, ნახევარფინალის საგზურს თითქმის გაინაღდებს.

ირაკლი პერტაია

როგორ დავიბრუნოთ დედოფალი?

მაია აზარაშვილი მომავალს იმედიანად უყურებს

გიოტებორგში გამართულ მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველო, სამწუხაროდ, ერთადერთი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი და ისიც — იულია დუბინა სამხტომში საკვალიფიკაციო შეჯიბრებას ვერ გასცდა. ამ ჩემპიონატს ესწრებოდნენ საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე და გენერალური მდივანი მაია აზარაშვილი, რომელსაც გიოტებორგულ შთაბეჭდილებებსა და სხვა ამბებზეც ვესაუბრეთ

— მაინც რა მოხდა, იულია დუბინამ რატომ ვერ შეასრულა საკვალიფიკაციო ნორმატივი?

— თქვენი გაზეთი არაერთხელ წერდა, რომ იულია დუბინა ოჯახური პირობების გამო ვეღარ ვარჯიშობდა და სარბიელს სულ ბოლო დროს დაუბრუნდა. მიუხედავად ამისა, მისგან მეტს ველოდით. პირველ ორ ცდაზე მან ასარეკნ ზღვარს გადააბიჯა, ბოლოს, იგივე რომ არ დამართნოდა, მეტისმეტი სიფრთხილე გამოიჩინა და მხოლოდ 12,77-ზე გადახტა. ეტყობა, დიდ შეჯიბრებებზე კარგა ხნის გამოუსვლელობამ მის ფსიქოლოგიურ მობილიზებაზე გარკვეული კვალი დატოვა. ეს რომ არა, იგი საკვალიფიკაციო შეჯიბრებას უპრობლემოდ დაძლევდა.

— საქართველოში მძლეოსნობის ვარსკვლავები მასობრივად არ გვყოლია, მაგრამ მუდამ იყო ორი-სამი სპორტსმენი, რომლებიც უმაღლეს დონეზე გამოდიოდნენ. ბოლოს ასეთი თქვენ იყავით. მერე კი აღარც ოლიმპიური მედალი გვღირსებია და აღარც სხვა მნიშვნელოვანი ნადავლი. როგორ ფიქრობთ, რა ეშველება ჩვენში „სპორტის დედოფალს“?

— ევროპის ჩემპიონატი ჩვენთვის დიდი სკოლა იყო. ვგულისხმობ არა მხოლოდ უშუალოდ შეჯიბრებებს, არამედ ჩემპიონატის ორგანიზაციულ მხარეს, მასპინძელთა მიდგომას ამ სახეობისადმი. შვედები მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ ეს ეს ჩემპიონატი მძლეოსნობის აგიტაცია-პროპაგანდისა და პოპულარიზაციისთვის გამოეყენებინათ. ქალაქზე თვალის ერთი გადავლებითაც ჩანდა, გიოტებორგის მესვეურთა თუ რიგით მოქალაქეთა მძლეოსნობისადმი დამოკიდებულება. მთელ ქალაქში ამ ჩემპიონატის აფიშები და პლაკატები იყო გამოკრული, ყველგან მძლეოსნური სუვენირები იყიდებოდა. ბავშვებისთვის ყველა პარკსა თუ სკვერში მძლეოსნურ შეჯიბრებებს აწყობდნენ. მოგეხსენებათ, შვედეთში ხანმოკლე ზაფხული იცის. ამიტომ მთელი ქალაქი 24 საათს ქუჩებში ატარებდა, უფრო სწორად, მათი უმრავლესობა იმ პარკებისა და სკვერების მძლეოსნურ სექტორებში იყრიდა თავს.

მძლეოსნობისადმი ასეთ დამოკიდებულებას თავისი ნაყოფი მოაქვს. ამ ჩემპიონატში შვედებმა ექვსი მედალი მოიპოვეს და ეს მათთვის კარგი შედეგია, რასაც, ალბათ, მომავალში გააუმჯობესებენ. ახლა ერთი სული მაქვს, როდის გაიხსნება ჩვენი გალამაზებული ეროვნული სტადიონი, სადაც, მჯერა, კვლავ ახმაურდება მძლეოსნური სექტორები. იმ ოღრო-ჩოღრო სარბენ ბილიკებსა და დანგრეულ სახტომ თუ სატყორცნ სექტორებში თუ მაინც ვახერხებდით უკლებლივ ყველა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას, იმ პირობების მერე, რომელიც სექტემბრიდან შეგვექმნება, იმედია, მეტს მივაღწევთ. განახლებული სტადიონი უთუოდ მასობრივად მიიზიდავს ბავშვებს, ეს კი წარმატების საწინდარი გახდება.

— გიოტებორგში გამგზავრებამდე გვეუბნებოდით, იქ ჩემპიონატის გარდა სემინარები, კონფერენციები და შეხვედრები იგეგმება და ვეცდებით, გაისად ამიერკავკასიის თასის გათამაშებას ვუმასპინძლოთო.

— დიახ, ევროპის მძლეოსნობის ფედერაციას ამ შეჯიბრების მასპინძლობაც შევთავაზეთ და 2008 წლის ევროპის თასის გათამაშების მიღებაც. ვუთხარით, რომ ჩვენი ეროვნული სტადიონი დღე-დღეზე მზად იქნებაო. სამასპინძლო პროპაგანდას ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლებთანაც ვეწეოდით. ჩვენი შეთავაზება ყველამ მოულოდნელ და სასიამოვნო სიურპრიზად აღიქვა. ჩვენი წინადადებებით ძალიან დაინტერესდნენ, რადგან, მაგალითად, ევროპის თასის გათამაშება სულ რამდენიმე ქვეყანაში ჩატარებულა და ზოგი მათგანი ამ მხრივ მეორე წრეზე მიდის, რაკი სხვა მასპინძელი არ ჩანს.

სხვათა შორის, წლევანდელი კავკასიის თასის გათამაშების კოორდინატორებად... ჩვენ დაგვნიშნეს.

— ეგ როგორ, წლევანდელ შეჯიბრებას ხომ რუსეთი მასპინძლობს?

— ეტყობა, ჩვენი აქტიურობა თვალში მოუვიდათ და მონდომება დაგვიფასეს. მგონია, რომ საგაისო შეჯიბრების თბილისში მასპინძლობის საკითხი საბოლოოდ ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება და წლევანდელი კოორდინატორობა გამოცდილების თვალსაზრისითაც სასარგებლო იქნება. ოღონდაც, ამ შეჯიბრების სამასპინძლოდ მხოლოდ კარგი სტადიონი და მძლეოსნური სექტორები საკმარისი არ იქნება. გასათვალისწინებელი არის სტუმართა მიღება-დაბინავების, კვებისა და სხვა მრავალი საკითხი, მით უმეტეს, რომ შეჯიბრებაში არა მხოლოდ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის, არამედ თურქეთისა და ირანის გუნდებიც გამოვლენ.

ბაბრი კეთილაძე ფოტო

— ამ პრობლემებს, იმედია, მოევლება, მაგრამ კარგი სტადიონისა და მძლეოსნური სექტორების გარდა, ხომ სათანადო ინვენტარიცაა საჭირო...

— გიოტებორგში ჩვენ შევხვდით სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ერთ-ერთი ცნობილი შვედური ფირმის „ნორდრიკის“ ხელმძღვანელებს, რომლებმაც განსაკუთრებით მძლეოსნური იარაღებისა და ინვენტარის გამოშვებით გაითქვეს სახელი. ისინი აწარმოებენ ერთ-ერთ საუკეთესო თარჯებს, შუბებს, ბადროებს, ბირთვებსა და სხვა ინვენტარს. ამ ფირმის წარმომადგენლები ძალიან დაინტერესდნენ საქართველოთი და სექტემბერში ჩამოსვლასაც გეგმავენ. მათთან ურთიერთობა, ალბათ, სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებსაც დაინტერესებთ.

ავთანდილ ჭყვიშელი

ასანიძე გამოირიცხა

ვანო გრიქუროვი ლიცენზიების მოპოვებას ახალგაზრდებით გეგმავს



ვანო გრიქუროვი გიორგი ასანიძეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ დაიხმარს

ძალოსნები პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ქულებისთვის ბრძოლას ერთ თვეში სანტო დომინგოში დაიწყებენ. კარიბეთში მდებარე დომინიკის რესპუბლიკის დედაქალაქი 27 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს და წინასაოლიმპიადო ციებ-ცხელებაც იქვე გახურდება. ტურნირში მონაწილეობას საქართველოს ნაკრებიც მიიღებს. მთავარმა მწვრთნელმა *ვანო გრიქუროვმა* წინასატურნირო სამზადისი ივნისში, ბორჯომული შეკრებით დაიწყო, ამჟამად კი პლონეთში ავარჯიშებს შეგირდებს

— უკვე ორი კვირაა, პოლონეთის ალმოსავლეთში, კოხტა სპორტულ ბაზაზე ვართ შეკრებილები — გვითხრა გრიქუროვმა გუშინ, ტელეფონით რომ დავუკავშირდით — მაზურის რაიონის კომპლექსში ყველანირი პირობა გვაქვს შექმნილი, რომ მხოლოდ ვარჯიშზე ვიფიქროთ.

— პოლონეთის ნაკრებთან ერთად ხომ არ ემზადებით?

— არა და არც გეგმაში გვაქვს. ნაკრების ოთხ კანდიდატს ვავარჯიშებ — არსენ კასაბიევს, ზვიად' სამუკაშვილს, რაულ ცირეკიძესა და ალბერტ კუზილოვს.

— შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ეს ოთხეული გამოვა?

— ჯერ ამის თქმა ძნელია. ალბათ, გია მაჭავარიანი და ახალგაზრდული ნაკრების წევრი თემურ გოგიაც შემოგვიერთდებიან. ეს უკანასკნელი ჯერ თავისი ასაკის ევროპირველობისთვის ემზადება.

— პირობებით კმაყოფილი ხართ. ბიჭების ფორმითაც?

— ამ ეტაპზე საპრეტენზიო არავისთან მაქვს. 15 ივნისიდან მოყოლებული, ყველაფერი გეგმაზომიერად მიდის. თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატამდე თვეზე მეტი რჩება და გაცილებით მნიშვნელოვანია, როგორ შეძლებთ ამ დროის გამოყენებას. იმედია, ხელს არაფერი შეგვიშლის.

— ტრავმებს გულისხმობთ?

— პირველ რიგში ტრავმებს. საბედნიეროდ, კასაბიევი და კუზილოვი ბოლომდე გამოჯანმრთელდნენ და უკვე კარგა ხანია, სრული დატვირთვით ვარჯიშობენ. ეს ორი ძალოსანი კი დაგვიბრუნდა, მაგრამ ახლა ცირეკიძეს შეექმნა პრობლემა. მხარი აწუხებს და შეიძლება, მსოფლიოს ჩემპიონატიც გაუცდეს.

— როდის გაირკვევა მისი საკითხი?

— სავარაუდოდ, სექტემბრის დასაწყისში. მაშინვე დავასახელებ შემადგენლობას.

— გიორგი ასანიძის მსოფლიო გუნდში შეყვანა აქედანვე გამორიცხულია?

— სამწუხაროდ, ასეა. სანტო დომინგოში ჩასატარებელ ჩემპიონატს დამატებითი დატვირთვაც აქვს. მასზე ოლიმპიადის სალიცენზიო ქულების დარიგება იწყება. მხოლოდ გუნდურ შედეგებს ითვალისწინებენ და წარმოიდგინეთ, ასანიძე ნაკრებს როგორ გააძლიერებდა, მაგრამ... მოსამზადებელ რიტმში ვერაფრით მოახერხა ჩართვა და ოპტიმალურ ფორმამდეც ბევრი უკლია.

— ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს და ადრეც გითქვამთ, რომ გათვლას პეკინის ოლიმპიადაზე აკეთებთ. ამ მსოფლიოზე არ ელით მედლებს?

— მხოლოდ თეორიული შანსი გვაქვს. მედლისთვის ბრძოლას ალბათ მარტო კასაბიევი თუ შეძლებს. დანარჩენებმა კი თავიანთი შესაძლებლობები თუ გამოავლინეს, საშუალოზე უკეთეს შედეგებს აჩვენებენ, რასაც ჯამში გუნდური შედეგისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

— მაინც რამდენ ლიცენზიას ელით?

— ლიცენზიები მარტო წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგებით არ გაიცემა. მომავალი წლის შედეგებიც უნდა დაემატოს. ასე რომ, ჯერ შანსებზეც ძნელია საუბარი. სანტო დომინგოში ისე უნდა გამოვიდეთ, რომ გარკვეული მარაგი შევიქმნათ. საუკეთესო ვარიანტი 5-6 ლიცენზია იქნება, რეალურად კი, ალბათ, სამს მოვიპოვებთ. ესეც კარგი შედეგი უნდა იყოს გუნდისთვის, რომლის შემადგენლობაშიც ყველაზე უფროსი 21 წლის ძალოსანია.

— დომინიკის რესპუბლიკაში გამგზავრებამდე სხვა რომელიმე ტურნირზეც ხომ არ გეგმავთ გამოსვლას?

— ეს მართლაც კარგი გაკვეთილი იქნებოდა ბიჭებისთვის. ჯერ დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ, ალბათ 17 სექტემბერს პოლონეთის პირველობაში მივიღებთ მონაწილეობას.

— პოლონური შეკრება ამდენ ხანს გასტანს?

— გადავწყვიტეთ, მსოფლიოზე პირდაპირ აქედან გავფრინდეთ. სამგზავრო პრობლემაც ნაკლები გვექნება და ვარჯიშითაც აქ უკეთ ვვარჯიშობთ.

ოთარ მაღლაკელიძე

მონტოია ალაპარაკდა

ბერნი ეკლსტოუნმა, უშუმახერს ოდაც გავძლებთო

ხუან პაბლო მონტოიამ ფორმულა 1-ის ჯაჭვი გაწყვიტა

მეფორმულები სამკვირიან საყოველთაო შვებულებაში არიან. მრბოლებიც ისვენებენ და საჯინიბოების ტექპერსონალიც. ნებისმიერი ტესტ-ვარჯიში აკრძალულია. ათიოდ დღეში კი ყველანი სტამბოლში შეიკრიბებიან, სადაც 27 აგვისტოს მეორედ გათამაშდება თურქეთის დიდი პრიზი.

ისვენებს „სამეფო რბოლებიდან" ერთი თვის წინ აბარგებული ხუან-პაბლო მონტოიაც, რომელსაც ალბათ უკვე წლეულს ექნება დებიუტი ამერიკულ „ნასკარის" ჩემპიონატში.

30 წლის „კოლუმბიელმა ქარიშხალმა" მშობლიურ „ელ ტიემპო"-სთან ინტერვიუში პირველად გააკეთა კომენტარი იმ მიზეზებზე, რამაც ფორმულის დატოვება აიძულა:

„მომწყინდა ფორმულა 1-ში, რადგან რბოლებისგან სიამოვნებას ვეღარ ვიღებდი. ფინიშზე ყოველთვის „ფერარისა" და „რენოს" უკან ვიყავი, თანაც გუნდისგან ზეწოლასაც ვგრძნობდი. ამ ჩემპიონატშიც ყველაფერი ვიღონე, რაც შემეძლო — ცხადია, ტიტულის მოგება მინდოდა, მაგრამ „მაკლარენის" შემადგენლობაში საამისო შანსი იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ „ნასკარში" გადასვლა საუკეთესო ვარიანტი გახდა. მეხუთე ადგილისთვის ბრძოლაში არაფერია საინტერესო, ეს მალე გბეზრდება. მინდოდა, ახალი გამოწვევა მიმეღო და „ნასკარიც" სწორედ ესაა, სრულიად სხვა სამყარო, ჩემპიონატი რბოლების თითქმის ორმაგი ინტენსიობით, სადაც იქნებ თხუთმეტი წელიც შევძლო გამოსვლა.

„მაკლარენის" შეფთან რონ დენისთან ეს გადაწყვეტილება არ განმიხილავს, მასთან არც კი მილაპარაკია, შეხვდნენ მხოლოდ ჩვენი ადვოკატები. სანამ შარშან მხარს მოვიტეხავდი, რონთან შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. მომხდარზე ყველაფერს მოვუყევი, მაგრამ ბრიტანულმა პრესამ ხმაური ატეხა და რონს დასცინა. მანაც ალბათ ჩათვალა, რომ მინდოდა, იდიოტად გამომეყვანა. ამის შემდეგ ჩვენ ერთმანეთთან უწინდელივით ვეღარ ვიყავით."

მონტოიამ მიხაელ შუმახერზეც გამოთქვა თავისი აზრი:

„საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ წლევანდელ ჩემპიონატს მიხაელი მოიგებს. და თუ ამას შეძლებს, წავა. მიხაელ შუმახერის მსგავსი პილოტები სპორტს წაგებულები არ ტოვებენ."

ბოლოს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ბერნი ეკლსტოუნის აზრსაც გაგაცნობთ „წითელი ბარონის" წასვლა-დარჩენაზე:

„მიხაელი ბოლო ათწლეულის მთავარი პერსონაა, რომელმაც პრაქტიკულად ყველა რეკორდი დაიკუთრა, მაგრამ ერთხელ ხომ მას წასვლა მოუწევს. სანერვიულო არაფერია, ფორმულა ერთი შუმახერის გარეშეც იცოცხლებს ჩვენ გადავიტანეთ სენას სიკვდილი, ივი კი მიხაელზე გაცილებით პოპულარული იყო.

შუმახერი წელს მოიგებს ტიტულს თუ არა, ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც მან რბოლები უნდა მიატოვოს. კარგი იქნება, თუ დარჩება, რადგან ის ხომ სუპერვარსკვლავია, ასეთები კი ნებისმიერ ჩემპიონატს სჭირდება."

გია ახალაძე

ჩემი მწვრთნელი ჩემთან

კაცები
მასტერსი
ცინცინატი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 2 450 000 $

პირველი წრე

დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — **სებასტიან გროტანი** (საფრანგეთი) 4:6 6:4 6:3; **როგი ფეინბერი** (16, აშშ) — **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) 1:6 6:3 6:4; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — **მარკ გიკელი** (საფრანგეთი) 7:6 7:6; **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — **ნიკოლაი დავიდენკო** (5, რუსეთი) 6:4 2:6 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — **რიკ დე ვოესტი** (სამხრეთ აფრიკა) 6:0 6:4; **მარკოს ბაღდატისი** (8, კვიპროსი) — **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) 7:6 7:6; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) 6:3 6:3; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) 6:3 6:3; **დოვინიკ ჰრბატი** (16, სლოვაკეთი) — **პოლ გოლდსტინი** (აშშ) 6:4 6:3; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხ.კორეა) — **არნო კლემანი** (საფრანგეთი) 6:4 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — **ნიკოლა მაჰუ** (საფრანგეთი) 6:1 6:3; **როგინ ვიკი** (ჩეხეთი) — **დავიდ სანგინეტი** (იტალია) 6:3 6:7 6:3; **ხუან-კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) 6:6 (უარი); **ვინსენტ სპადეა** (აშშ) — **ანდრეა სეპი** (იტალია) 6:4 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (6, აშშ) — **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) 6:4 6:4; **დავიდ ფერერი** (10, ესპანეთი) — **კარლოს მოია** (ესპანეთი) 6:3 6:1

ქალები
მონრეალი. კანადა. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 $

პირველი წრე

ალბერტა ბრიანტი (იტალია) — **სანია მირზა** (ინდოეთი) 2:6 6:1 6:1; **კატარინა სრებოტნიკი** (14, სლოვენია) — **მიქაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) 6:3 7:5; **ლუსი შაფაროვა** (ჩეხეთი) — **ვირჯინი რაზანო** (საფრანგეთი) 7:5 6:4; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — **სიბილ ბამერი** (ავსტრია) 6:7 6:4 6:2; **ანაბელ მედინა გარიგესი** (17, ესპანეთი) — **ლაურა გრენვილი** (აშშ) 7:5 6:4; **შაჰარ პირი** (ისრაელი) — **ვარვარა ლეშენკო** (უზბეკეთი) 6:4 6:4; **ფლავია პენეტა** (12, იტალია) — **გალინა ვოსკობოევა** (რუსეთი) 6:3 6:1; **მარია კირილენკო** (15, რუსეთი) — **ელენა კოსტანიჩი** (ხორვატია) 6:3 4:6 6:1; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — **ციპორა ობზილერი** (ისრაელი) 6:7 6:2 6:1; **ანა ივანოვიჩი** (13, სერბეთი) — **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) 6:4 6:2; **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) — **ანა სმაშნოვა** (ისრაელი) 6:3 6:3

ფლორ უკანასკნელი სლემტურნირის დაწყებამდე ორ კვირაზე ნაკლები დარჩა და საჩოგბურთო სამყაროს მთელი ყურადღება ოკეანისგაღმეთისკენ არის მიპყრობილი — ჩოგბურთელთა უმეტესობა ჩრდილოეთ ამერიკაში ადაპტაციას გადის და იქაურ ტურნირებზე ჩოგნაობს, უფრო პატარა ნაწილი კი განცხრომასა და დასვენებას მისცემია.

თუმც ამ კვირაში სერიოზული ტურნირების მომსწრენი ვიქნებით. კაცები ზედიზედ მეორე მასტერსზე, ამჯერად ცინცინატიში ერკინებიან ერთმანეთს. ქალებმა კი მონრეალში მოიყარეს თავი ტუნირზე, რომელიც თავის მასშტაბებით მასტერსს უტოლდება.

ცინცინატის ტურნირმა დანაკლისი ჯერ კიდევ დაწყებამდე განიცადა. ანდრე აგასიმ ვერც აქ ჩასვლა შეძლო, რის გამოც თავის უკანასკნელ აშშ-ს ღია პირველობას არცთუ რიგიან ფორმაში შეხვდება.

მეორე დანაკლისად კი შეიძლება ნიკოლაი დავიდენკო მივიჩნიოთ — განთესილი მოთამაშის ამდენად ადრიანად გავარდნას არავინ ელოდა. თუმც რუსი თავისი შეცდომების მსხვერპლი გახდა. დროულად არ წავიდა ახალ სამყაროში და ევროპის თიხნარზე არჩია თამაში, ამიტომაც ამერიკულ ჰარდს ძნელად ეგუება და აგერ უკვე მეორედ აგებს პირველივე წრეში.

ისე, გუშინ ყველაზე მეტად ფრანგებს არ გაუმართლათ. ცინცინატის დატოვება ერთბაშად შვიდ გალს მოუწია. ძნელია, რაიმენაირად აიხსნას ფრანგთა ასეთი მასიური გაცამტვერება. მით უმეტეს, რომ გავარდნილებს შორის თითქოსდა კარგ ფორმაში მყოფი, ორი კვირის წინ ვაშინგტონში ტრიუმფატორი არნო კლემანიც ურევია.

ერთადერთი ფლორენ სერაა, რომელმაც ფრანგთაგან მეორე წრეს უწია. თუმც ეს გალებისთვის ვერაფერი შვებაა, რადგანაც სერამაც თავისიანს, ჟულიენ ბენეტოს მოუგო.

სამაგიეროდ, ყველას გაკვირვებას აგრძელებს დმიტრი ტურსუნოვი. რუსი აგერ უკვე თვე იქნება, რაც ჰარდზე ძალიან სტაბილურია და თუ ფედერერისნაირ მონსტრს არ გადაეყარა, მეოთხედფინალში რეგულარულად თამაშობს. ეს კი ამ სლავისთვის დიდი მიღწევაა.

დავიდენკოსგან განსხვავებით ამერიკაში კარგად დაიწყო გასული კვირის კიდევ ერთმა უიღბლომ — დავიდ ნალბანდიანს არ მოეწონა ტორონტოში პირველივე წრეში წაგების გემო რომ გაახსენეს და თავის სამხრეთფრიკელ მეტოქეს შეუბრალებლად გაუსწორდა.

ცინცინატის პირველად ესტუმრა მარკოს ბაღდატისი და იქაური სტუმართმოყვარეობა კარგადაც შეირგო. ტომას იოჰანსონმა ბევრი კი იომა, მაგრამ ტაი ბრეიკებში კვიპროსელი უფრო აკურატული და იღბლიანი აღმოჩნდა და შვედი ცინცინატიდან ნაადრევად აიბარგა.

მოიგო ჯეიმს ბლეიკმაც. წლეულს სტაბილურად ათამაშებული შავ-შავი იანკი ამ ბოლო დროს ვერ იყო თავის იშტაზე, მაგრამ ახლა წარმატებით დაიწყო და თუ სიჩქარე აკრიფა, მისი გაკავება გაუჭირდებათ.

მონრეალში კი ფავორიტთა უმრავლესობამ პირველ დღეს დაისვენა. თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფრანგო-კანადურ ქალაქში ქალთა ჩოგბურთის ელიტის ბლომად წარმომადგენელმა ვერ მოახერხა ჩასვლა, რადგან ზოგს დასვენება მოსდომებია, ზოგი კი ტრავმებს ფლორიდისა თუ კალიფორნიის მზის ქვეშ კოტრიალით იშუშებს. დანაკლისთა შორის კი მართლა ბობოლა სახელები ურევია — მარია შარაპოვა, ელენა დემენტიევა, დები უილიამსები, მარი პირსი და ასე შემდეგ.

ამის მიუხედავად, ტურნირი ურიგო საცქერი მაინც არ უნდა გამოვიდეს. რაც მთავარია, აქ ერთ სიახლეს ვიხილავთ, რომლის მიხედვითაც მწვრთნელებს საშუალება ეძლევათ, ჩოგბურთელებთან სეტებს შორის შესვენების დროს მივიდნენ და რჩევა-დარიგება მისცენ. ძნელი სათქმელია, ეს გაამრთლებს თუ არა, მაგრამ მოთამაშეთა უმრავლესობა ამას უარყოფითად შეხვდა.

ჯერჯერობით ეს კორტზე კონსულტაციები ერთ ჩოგბურთელს არ წაადგა. ელენა კოსტანიჩმა, გაუჭირდა თუ არა, თავის მწვრთნელს დაუძახა, მაგრამ ვერც ამან უშველა და ხორვატმაც შემდეგ წრეში მარია კირილენკო გაატარა.

ქახა ლომაშვილი



AFP ფოტოსტუდიიდან

მარკოს ბაღდატისი



დავიდ ნალბანდიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო დრო, ფლოიდ ლენდისი და ლენს არმსტრონგი ერთ გუნდში იყვნენ

ახალი ადვოკატი

არმსტრონგს ლენდისის სჯერა

ახლო მომავალში, როდესაც ყველა ფორმალურ-სამართლებრივი საკითხი მოგვარდება, ამერიკელ ველოსიპედისტს ფლოიდ ლენდისს „ტურ დე ფრანსის" გამარჯვებულის წოდებას ჩამოართმევენ და ჩემპიონად ოფიციალურად გამოცხადდება ესპანელი ოსკარ პერეირო სიო.

„ტურის" დირექტორატმა უკვე გამოაცხადა კიდეც, რომ ლენდისი ჩემპიონი არ არის და ყვითელი მაისურა პერეირო სიოს ეკუთვნის, მაგრამ, სანამ ლენდისის ბრალეულობა სასამართლო დონეზე არ დამტკიცდება, ოფიციალურად ამერიკელს, ამ ყვითელ მაისურას ვერ ჩამოართმევენ.

შეგახსენებთ, რომ როგორც კი განმეორებითი, B ანალიზის პასუხი ცნობილი გახდა და გაცხადდა, რომ ლენდისის ორგანიზმში არსებული მომატებული ტესტოსტერონი ხელოვნური წარმოშობის იყო, ამერიკელის გუნდმა, შვეიცარიულმა „ფონაკმა" ეგრევე გაწყვიტა ველოსიპედისტთან კონტრაქტი, ხოლო ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ ლენდისი „პროტურის" რეიტინგიდან ამოაგდო და მისთვის „ტურ დე ფრანსის" ჩემპიონის წოდების ჩამორთმევისა და დისკვალიფიკაციის საკითხი დასვა.

მიუხედავად ამისა, არიან ისეთებიც, რომელთაც სჯერათ, რომ ლენდისი უდანაშაულო და ოდენ გარემოებათა მსხვერპლია. ასეთთა შორისაა „ტურის" შვიდგზის ჩემპიონი ლენს არმსტრონგი. ლეგენდარულმა მრბოლმა მწვერვალიდან ერთბაშად ძირს დანარცხებულ თანამემამულეს მხარდაჭერა გამოუცხადა და ბრძანა: „რა თქმა უნდა, შექმნილ სიტუაციაში არაფერია საბარბიელო ამერიკული ველოსპორტისთვის, მაგრამ მე თანავუგრძნობ და მხარს ვუჭერ ფლოიდს და დარწმუნებული ვარ მის უდანაშაულობაში. ერთადერთი, რაშიც ლენდისს ვამტყუნებ, ის გახლავთ, რომ ყველაზე კრიტიკულ წუთებში ის ძალზე გულახდილი იყო ჟურნალისტებთან. ამან სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა და ველოსიპედისტის ალალი ცდა, საქვეყნოდ ემართლებინა თავი, ბევრმა მის საწინააღმდეგოდ გამოიყენა".

თავის დროზე არმსტრონგი და ლენდისი მთელი სამი წელი თანაგუნდელები იყვნენ ამერიკულ U.S. postal-ში და იმაში, რომ 2002-04 წლებში ლენსი „ტურის" ჩემპიონი ხდებოდა, ფლოიდის მნიშვნელოვანი წვლილიც იყო.

შეგახსენებთ, რომ თავად არმსტრონგზეც არაერთხელ ითქვა, დოპინგს იყენებსო. ეგ კი არა, 90-იანი წლების შუაში არმსტრონგი ავთვისებიანი სიმსივნით იყო ავად და მას შემდეგ სისტემატურად ღებულობდა სხვადასხვა წამლებს. ამიტომაც იყო, მრავალი მრბოლი ეჭვის თვალით უყურებდა ამერიკელის გამარჯვებებს — ამბობდნენ, როდესაც ნებისმიერი წამლის მიღების უფლება ოფიციალურად გაქვს, ჩემპიონობა გაცილებით ადვილიაო.

უკვე შარშან, მას შემდეგ, რაც არმსტრონგმა „ტურის" მეშვიდედ მოგების შემდეგ დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა, ფრანგულ პრესაში ახალი ტალღა აგორდა ამერიკელის მიერ დოპინგის გამოყენების თაობაზე, მაგრამ ოფიციალურად ვერავინ ვერაფერი ვერ, თუ არ დაამტკიცა და დიადი ჩემპიონის სახელი შებღალვას გადაურჩა.

ახლა არმსტრონგი არა თავის, არამედ ლენდისის სახელს იცავს, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, ამ საქმიდან რამე, ლენდისისთვის სახეირო გამოვიდეს.

ერთვნული ბიბლიოთეკა



AFP შრი ლანკიდან

უთოვლო თხილამურობა

თქვენ გგონიათ, ტრამპლინს და თხილამურებს ზამთარი და ფაფუკი თოვლი სჭირდება? სრულიად საპირისპიროს გვიმტკიცებს ეს ცადაფრენილი მოთხილამურე. გლობალური დათბობის ამ ინტერიამოსილ ზაფხულშიც ნახავთ უთოვლო მთებში თხილამურებიან კაცებს. კონკრეტულად ეს ნახტომი კი საფრანგეთის სამთო კურორტ კურშეველში შესრულდა.

ბისკაის ყურის ნიავი

ცალკაციანი იახტების რეგატამ აფრები აუშვა ჩრდილოესპანური სანტანდერიდან და ფრანგული ბრეტონის სანაპიროებისკენ აიღო კურსი. რეგატა ორდღიანია და ბისკაის ყურიდან მონაბერ ნიავს ჩვენამდე მარილიანი წყლის სურნელის ნაცვლად ამ ნაოსნობის ლამაზი ფოტოები მოაქვს. ჩვენ ძალიან შორს ვართ ამ სილამაზისგან.



AFP სანტანდერიდან



AFP შრი ლანკიდან

ტაფელი და ავტომატი

გზაზე მიდის ორი კაცი, ტაფელით და ავტომატით. ასეთია კუნძულ შრილანკაზე, გინდათ, ცეილონზე ცხოვრება, სპორტსმენს თოფიანი გამცილებელი სჭირდება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფარაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუხულან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, ფამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge